ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

დათო დოლაბერიძე

სტალინის ხსოვნა და მისი ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ ქარაია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023 წელი

ნაშრომი შესრულებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სამეცნიერო პროექტის - „სტალინის ხსოვნა და მისი ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში“ (N 2101/10-02) - დაფინანსების ფარგლებში.

ნაშრომის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და არ ასახავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვებს.

ანოტაცია

საქართველოში 1990-იანი წლებიდან მეხსიერების პოლიტიკის ძირითადი ელემენტი ისტორიული ფიგურების განსჯა, რეაბილიტაცია, დამახსოვრება თუ მათი „ისტორიულ სანაგვეზე მოსროლის“ საკითხი იყო (ჩიქოვანი, კაკიტელაშვილი, & ჩხაიძე 2022). პოსტტოტალიტარული საზოგადოების იარლიყმა განსაზღვრა რომელი ფიგურა უნდა ყოფილიყო დადებითი, უარყოფითი, ვინ მოღალატე, ვინ გმირი (Gugushvili, Kabachnik, & Kirvalidze, 2017). სწორედ ეს იყო გადაფასების პერიოდი, დასამახსოვრებელი და დასავიწყებელი მოვლენების შერჩევა, პოლიტიკური ტრანზიციის ხანა, როცა მეხსიერების ცვლილება პირდაპირპროპორციული იყო რეჟიმის ცვლილებისა.

გადასაფასებელ ფიგურებში ერთ-ერთი მთავარი პიროვნება, რომელიც შემოინახა კომუნიკაციურ მეხსიერებასა და მეხსიერების ადგილებში იყო სტალინი, დღეისთვის საკმაოდ აქტუალური ფიგურა, წინააღმდეგობრივიც, ზოგისთვის ბელადი, ზოგისთვის ტირანი, საზოგადოების ნაწილისთვის კი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემოქმედი. კოლექტიურ მეხსიერებაში მის შესახებ ადგილის დამკვიდრებამ რამდენიმე ეტაპი გაიარა, ეს პროცესი მიმდინარეობდა როგორ ზემოდან ქვემოთ, ისე პირიქით, ქვემოდან ზემოთ. ამიტომაც, საინტერესოა თუ როგორია სტალინის ხსოვნა და მისი ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში, რით აიხსნება მისი მუდმივი არსებობა.

შესაბამისად, კვლევის მიზანია შეისწავლოს საზოგადოებაში დაგროვებული ინდივიდუალისტური ხსოვნა და განისაზღვროს სტალინის ფიგურა, მისი ძირითადი მახასიათებლები და მახსოვრობაზე მოქმედი მთავარი ფაქტორები. კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას - შინაარსობრივ კონტენტ-ანალიზსა და საქართველოს რეგიონებში ჩატარებულ (ახმეტა, ზემო ალვანი, ქვემო ალვანი, ბათუმი, გორი) სიღრმისეულ ინტერვიუებს.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I - ტოტალიტარი ლიდერის აღქმა კოლექტიურ მეხსიერებაში 10

1.1. მეხსიერების პოლიტიკის თეორიული საკითხები 10

1.2. ლიდერის კულტი კოლექტიურ მეხსიერებაში 13

1.3. სტალინის სახე კოლექტიურ მეხსიერებაში - მეხსიერების ფორმირების ეტაპები .. 18

თავი II – როგორ აღიქვამენ სტალინს? 26

თავი III - სტალინის აღქმაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები 40

3.1 სტალინი, როგორც მეხსიერების ადგილი 40

3.1.1 ხან ზევით, ხან ქვევით - სტალინის ძეგლი, დაპირისპირების ადგილი 44

3.2 ოჯახის ზეგავლენა მახსოვრობაზე 47

3.3 ქართული სუფრა - მეხსიერების არტიკულაციის ფენომენი 49

დასკვნა 52

ბიბლიოგრაფია 55

დანართი 61

დანართი N1 - სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი სტალინისტებთან 61

დანართი N2 - ნახევრად-სტრუქტურული ინტერვიუს გზამკვლევი სამი თაობის ადამიანებთან 62

შესავალი

„ახალი მომავალი მოითხოვს ახალ წარსულს“ - წერდა ამერიკელი ისტორიკოსი ერიკ ფონერი, ქვეყნისთვის მკვეთრად ცვალებად პერიოდზე, როცა სისტემა გარდამავალ ხანაშია და პირველად დგამს ნაბიჯებს (ჩიქოვანი, 2022). 1980-იანი წლების საქართველო სწორედ ასეთია. ყალიბდება ახალი ტიპის მეხსიერება დამოუკიდებელი მომავლისკენ, რაც ხელს უშლის იდენტობის ჩამოყალიბებას და ქმნის მის კრიზისს (ჩიქოვანი, კაკიტელაშვილი, & ჩხაიძე 2022).

ახალი ტიპის მეხსიერებაში ვხვდებით ძველ ფიგურებსაც, რომლებიც ასოცირდებიან რეპრესირებულ წარსულთან, რომლის აღქმაც ამბივალენტური და წინააღმდეგობრივია. საზოგადოების ნაწილისთვის ისინი მესიანისტური ბუნების მქონეა, ნაწილისთვის კიდევ ბოროტების იმპერიის განმასახიერებლის. სწორედ ასეთი ნიშნის მატარებელია სტალინი, რომელიც საქართველოში დღესაც განსხვავებულ დამოკიდებულებებს აღძრავს. ზოგი მის სადღეგრძელოს სვამს ფეხზე წამოდგომით, ზოგი კიდევ თავს აცლის მის მონუმენტს. ამიტომაც, საინტერესოა ახსნის მოძებნა, თუ როგორი ფიგურაა სტალინი დღეს ქართველებისთვის და რა განაპირობებს მის მუდმივ არსებობას საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში.

ამ **კვლევის აქტუალობის** მნიშვნელობაზე მიუთითებს კარნეგის ფონდის კვლევაც. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, ქართველი მოსახლეობის 45%-ს კვლავ დადებითი გრძნობები აქვს სტალინის პიროვნების მიმართ (გუდკოვი, 2013). Zinc Network-ის 2023 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით კი, მოსახლეობის 37% ეთანხმება, რომ პატრიოტი ქართველი სტალინის ქართველობით ამაყი უნდა იყოს (ქევანიშვილი, 2023). საუბარია ტოტალიტარი მმართველის პოპულარობაზე, დემოკრატიულ, ინფორმაციულ საზოგადოებაში (კეკელია & რაისნერი, 2022), ქვეყანაში, რომელიც ჰიბრიდულ დემოკრატიად კვალიფიცირდება (Freedom House, 2022).

კვლევის მიზანია ახსნას, თუ რა ფაქტორი აყალიბებს თანამედროვე ეტაპზე სტალინისადმი დამოკიდებულებას; როგორი სახე აქვს მას და წარმოაჩინოს მისი ზეგავლენა შემდეგ თაობებზე. ამასთანავე, შეისწავლოს ის აქტორი, რომელიც ამ ხსოვნის ფორმირებაზე ახდენს ზეგავლენას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, **ამოცანები** ასე ჩამოყალიბდა:

1. სტალინის კოლექტიური აღქმის შესახებ არსებული თეორიული და ემპირიული გამოცდილების შესწავლა, რაც მახსოვრობაზე მოქმედი ფაქტორების გამოკვეთას დაუსვამს აქცენტს.

2. შესწავლილ იქნას საზოგადოებაში არსებული ინდივიდუალური ხსოვნა, რადგან იგი მასმედიასთან, სახელმძღვანელოებსა და პედაგოგებთან ერთად ხსოვნის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი აქტორია.

საკვლევ ობიექტებს წარმოადგენენ:

1) შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოკითხული სამი თაობის - G1, G2 & G3 ადამიანები - ბათუმიდან, გორიდან და ახმეტიდან (ზემო ალვანი, ქვემო ალვანი).

G1 - 18-34 წელი - ადამიანები, რომლებიც დამოუკიდებელ, პოსტკომუნისტურ საქართველოში დაიბადნენ და არ აქვთ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ცხოვრების გამოცდილება.

G2 – 35-54 წელი - 1969-1988 წლებში დაბადებული ადამიანები. ეს არის გარდამავალი პერიოდი სტალინის კულტის დათბობას - "მდორედ მიმდინარე რესტალინიზაციასა" და დესტალინიზაციის გორბაჩოვისეულ ახალი ტალღას შორის.

G3 – 55+ წელი - ეს ის თაობაა, რომლებსაც ცხოვრება უშუალოდ ხრუშოვის დროს მოუწიათ, როცა იწყება დესტალინიზაცია - სტალინის კულტის „(საბჭოთა) ერის მამიდან“ „ხალხის მტრად“ ტრანსფორმაცია.

2) ქართველი სტალინისტები, ადამიანები, რომლებიც ინახავენ ხსოვნას სტალინის შესახებ.

საკვლევი კითხვებია:

1. რა ფაქტორი განაპირობებს სტალინისადმი ხსოვნას თანამედროვე საქართველოში?

2. როგორაა შემორჩენილი სტალინის სახე განსხვავებული თაობის წარმომადგენლების კოლექტიურ მეხსიერებაში? (G1, G2, G3 თაობები)

ჰიპოთეზა:

1. არსებობს მოლოდინი რომ სტალინის სახე არაერთგვაროვნად აისახება სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მქონე ადამიანის კოლექტიურ მეხსიერებაში, რასაც განაპირობებს უფროსი თაობის ადამიანებში გარდამავალი პერიოდის „ახალი წარსულის“ საჭიროება.

2. საზოგადოებაში არსებული კოლექტიური ხსოვნა განსაზღვრავს სტალინისადმი დამოკიდებულებას, განსაკუთრებით 55 წელს ზემოთ, რეგიონებში მცხოვრებ, უმაღლესი განათლების საფეხურ მიუღწეველ, დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებში.

ოპერაციონალიზაცია და კონცეპტუალიზაცია:

პიროვნების ხსოვნის ცვლადის გაზომვის საშუალება კი მოსახლეობაში ინდივიდუალისტური ხსოვნის შეგროვება და მათ მახსოვრობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორების შესწავლაა, საკითხთან შესაბამისობაში მყოფი, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვასთან ერთად.

საზოგადოების კოლექტიური მეხსიერება არის უნარი, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს გაიაზროს საკუთარი იდენტობა ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე (Assman, 2010). ფართოდ თუ ვიმსჯელებთ, იგი გულისხმობს ინდივიდების, ჯგუფების, ერთობების და სახელმწიფოების მცდელობას, წარსულის ინტერპრეტაციით განსაზღვროს საკუთარი იდენტობა, ისტორიის მანძილზე დაგროვილი გამოცდილებისა და დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენების დაფიქსირებით (Lebow, Kansteiner, & Fogu, 2006).

თეორიული ჩარჩო ეყრდნობა მორის ჰალვბაქსის „კოლექტიური მეხსიერების თეორიას“, რომლის მიხედვითაც მეხსიერება სოციალური კონსტრუქტია და მახსოვრობა ყალიბდება სოციალურ ჯგუფებს შიგნით (Halbwachs, 1992); ამასთან, იან და ალეიდა ასმანების კომუნიკაციური და კულტურული მეხსიერების იდენტობის მაფორმირებელ კონცეპტს (Assman, 2010), რომელიც დაგვეხმარება გამოვკვეთოთ საზოგადოების მახსოვრობაში სტალინის აქტუალიზების მიზეზები და ქართულ იდენტობასთან მიკუთვნებულობის საკითხი. პიერ ნორას „მეხსიერების ადგილების“ თეორია კი მახსოვრობაზე ზეგავლენის მომხდენ ფაქტორებს აგვიხსნის (Nora, 1992).

ინტერვიუს ჩატარებისას გამოყენებული იყო შემთხვევითი **შერჩევა** - გორში, ახმეტასა (სოფლები - ზემო ალვანი და ქვემო ალვანი) და ბათუმში გამოიკითხა ყოველი მესამე და მეხუთე ადამიანი, თითოეული ასაკობრივი კატეგორიიდან - სულ 59 ინტერვიუ. ქართველ სტალინისტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუირებისას (სულ ჩატარდა 22 სიღრმისეული ინტერვიუ) გამოვიყენე არაალბათური მიზნობრივი შერჩევა, რადგან გამეანალიზებინა მათ დამოკიდებულებასა და მახსოვრობაზე მოქმედი ფაქტორები.

საკითხი ეფუძნება თვისებრივი კვლევის **მეთოდოლოგიას.** კერძოდ, 2023 წლის აპრილ-ივნისის პერიოდში, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხნენ ბათუმში, გორსა და ახმეტაში (ზემო ალვანი, ქვემო ალვანი) მცხოვრები ადამიანები, სამი ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, რათა დადგინდეს, თუ როგორია სტალინის აღქმა, მახსოვრობა განსხვავებული თაობის ადამიანებში. გორი და ზემო ალვანი ის ადგილებია, სადაც დაზიანდა და აღდგა სტალინის ძეგლები (აფციაური, 2019 & მთის ამბები, 2022). აჭარაში კი აქტიურია საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური კომიტეტი და სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საზოგადოება (დარჩიაშვილი, 2022). სიღრმისეული ინტერვიუები ქართველ სტალინისტებთან, განსაზღვრავს „რომანტიზებულ“ ხსოვნას ტოტალიტარი მმართველის მიმართ. ამასთანავე, არსებული თეორიული და ემპირიული გამოცდილების შესწავლისას გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.

კვლევის ლიმიტი - კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ბათუმში, გორსა და ახმეტაში (ზემო ალვანი, ქვემო ალვანი) მცხოვრებ მოქალაქეთა მცირე ნაწილი, ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა კვლევისთვის ნაცნობ სტალინისტებთან, რომლებიც აღნიშნულ რეგიონებსა და თბილისში ცხოვრობენ. შესაბამისად, კვლევა არ ყოფილა მასშტაბური და არ წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის მასობრივ კვლევას. თვისებრივი კონტენტ-ანალიზის კუთხით, გაანალიზებულ იქნა მხოლოდ ის ნაშრომები, რომლებშიც წარმოჩენილია სტალინის ფიგურა კოლექტიური მეხსიერების კონტექსტში.

კვლევა ეყრდნობა შემდგომ აკადემიურ ლიტერატურას:

„კოლექტიური მეხსიერების შესახებ“ - მორის ჰალვბაქსი

"კოლექტიური მეხსიერება და კულტურული იდენტობა" - იან ასმანი

"მეხსიერებასა და ისტორიას შორის: მეხსიერების ადგილები" - პიერ ნორა

ნაშრომი სამი თავისგან შედგება:

პირველი თავში განხილულია კოლექტიური მეხსიერების თეორიები, ლიდერის კულტის აღქმაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები, რომელიც გვეხმარება ავხსნათ სტალინის სახის ტრანსფორმაცია მოსახლეობის მახსოვრობაში.

მეორე თავი კი უშუალოდ სტალინს ეხება. აქ რეგიონებში შეგროვებული სამი თაობისა და სტალინისტების ინდივიდუალური ხსოვნაა რეპრეზენტირებული. თუ როგორაა შემორჩენილი და რას წარმოადგენს მოქალაქეთა მეხსიერებაში მისი ფიგურა.

მესამე თავი კონცენტრირებულია საველე სამუშაოზე შეგროვილი G1, G2, G3 თაობებისა და სტალინისტების ინდივიდუალურ მეხსიერებაზე მოქმედ მთავარ ფაქტორებზე, თუ რა აყალიბებს მათ მახსოვრობას სტალინის მიმართ.

თავი I - ტოტალიტარი ლიდერის აღქმა კოლექტიურ მეხსიერებაში

1.1. მეხსიერების პოლიტიკის თეორიული საკითხები

„ჩვენ ვცხოვრობთ მეხსიერების საყოველთაო ზეიმის ეპოქაში“ - აღნიშნავდა პიერ ნორა 2002 წელს, თანამედროვე ისტორიაზე საუბრისას, რომელიც მკვეთრი სისტემური ცვლილებებით, ერთა თვითგამორკვევით, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ცვალებადობით გამოირჩეოდა. უახლესი ისტორიის მანძილზე ხშირია ადრე დავიწყებული, მიმალული ფაქტების გახსენება, ოფიციალური ვერსიების კრიტიკა, წართმეული ისტორიის, წარსულის დაბრუნება. შეიძლება ითქვას, აზვირთდა ერთგვარი მოგონებათა ნიაღვარი, რომელიც დაუკავშირდა მოგონილი წარსულისადმი ერთგულებას და კოლექტიურ ცნობიერებას, იდენტობასა და მეხსიერების ფორმირებას. აღნიშნული საკითხი XX საუკუნის პირმშოა, რომელიც მეტა თეორიებით არ გამოირჩევა (Hopa, 2005).

მორის ჰალბვაქსმა და ები ვარბურგმა კოლექტიური ცოდნა/მეხსიერება ბიოლოგიურიდან კულტურულ ჩარჩოში გადაიტანეს. ადამიანის მახსოვრობა დაუკავშირეს რა სოციალიზაციის შედეგს და არა ფილოგენეტიკურ ევოლუციას[1], რასაც კარლ გუსტავ იუნგი ახსენებდა არქეტიპების თეორიაში (Assmann, 1995). ჰალბვაქსისთვის მეხსიერება სოციალური კონსტრუქციაა, ყალიბდება არა დამოუკიდებლად, არამედ სოციალური ჯგუფის ფარგლებში. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანი არასდროსაა მარტო, არის რა „ზოონ პოლიტიკ“, წმინდა ინდივიდუალური მეხსიერება არც არსებობს, იგი შემოსაზღვრულია გარკვეული სოციალური ჩარჩოთი, რომელიც ქმნის გარკვეულ წარმოდგენებს, სძენს დასამახსოვრებელ ელემენტებს თავიანთ ფორმებსა და შინაარს (იქვე. გვ.126). მეხსიერებას რეალურად ინდივიდი ატარებს, თუმცა კოლექტივზეა დამოკიდებული (Halbwachs, 1992).

[1] ბიოლოგიური ურთიერთკავშირის, მემკვიდრული ნიშან-თვისებებს და ევოლუციის შედეგად (Gittleman, 2016)

მეორე მხარეა კოლექტიური მეხსიერება როგორც ფენომენი, რომელიც ხელს უწყობს საერთო იდენტობის და საზოგადოების ერთიანობის განცდას. იგი ორსახოვანი შეიძლება იყოს: ერთი თაობის მეხსიერებად წოდებული - კომუნიკაციური და უკვე ფესვგადგმული - კულტურული მეხსიერება (Assmann, 1995).

იან ასმანის ხედვით კომუნიკაციური ერთგვარი ყოველდღიური მეხსიერებაა, მოიცავს 3-4 თაობას, 80-100 წლის განმავლობაში, რომელზეც ზეგავლენას ახდენენ უშუალოდ პროცესში მონაწილე, მიმდინარე პირები ან მოვლენები. აღნიშნულს ახასიათებს არამდგრადობა, როლების ურთიერთგაცვლა, არაორგანიზებულობა. პირობითად, ვიღაც ჭორაობს, ჰყვება ამბავს, ანეკდოტს, იგონებს ფაქტს, აზიარებს გამოცდილებას, განსხვავებულ მომენტში კი ის, ერთგვარად, ამის მსმენელია (Assman, 2010). კომუნიკაციური მეხსიერება ეფუძნება ყოველდღიურ პრაქტიკას, მრავალფეროვანი და მრავლისმომცველია. დროის გასვლით პარალელურად მცირდება კომუნიკაციური მეხსიერების მატარებელთა რიცხვი. მასში არსებული ფაქტები შესაძლოა დავიწყებას მიეცეს, თუმცა გააჩნია, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფაქტები არა თუ დავიწყებას მიეცემიან, არამედ კულტურულ მეხსიერებაში გადადიან (იქვე. გვ. 100).

კულტურულ მეხსიერებას ახასიათებს მუდმივობა, იგი გამოყენებადია ტექსტებში, რიტუალებში, ახასიათებს სპეციფიკურობა, მისი დანერგვა საზოგადოების სტაბილურობის გარანტიაა და განსაზღვრავს წარმოდგენას საკუთარ თავზე (იქვე. გვ.110). ალეიდა ასმანის სიტყვებით: „როგორც ინტერნეტი ქმნის ჩარჩოს სივრცეში დიდ მანძილებზე კომუნიკაციისათვის, ასევე კულტურული მეხსიერება ქმნის ჩარჩოს კომუნიკაციისათვის…იგი განამტკიცებს ჯგუფის იდენტობას“ (იქვე. გვ.97).

ალონ კონფინოსთვის ისტორია ხალხის წარმოდგენებზე დაყრდნობილი წარსულია, არა ის, თუ როგორი იყო სინამდვილეში, არამედ როგორია ამ ფაქტის შესახებ ხალხის წარმოდგენა. წარსული კულტურული არტეფაქტი ხდება გარკვეული პოპულაციის სამსახურში (Confino, 2010).

იური ლოტმანმა და ბორის უსპენსკიმ კულტურა განსაზღვრეს როგორც საზოგადოების მეხსიერება, რომელიც საერთოდ არ გადადის გენეტიკურად. სწორედ კულტურა ამყარებს კონტაქტს ეპოქებს შორის - ცოცხლებს, გარდაცვლილებს და მათ შორის, ვინც ჯერ არ დაბადებულა (Assman, 2010).

იან ასმანი აღნიშნავს რომ ჩვენი მახსოვრობა არა მხოლოდ სხვა გააზრების მქონე არსებებთან ინტეგრაციის შედეგად ფორმირდება, არამედ სხვა „საგნებთან“ - არტეფაქტებთან, იუბილეებთან, სიმბოლოებთან, გამოსახულებებთან ინტერაქციაში. მეხსიერება ეყრდნობა ინტერპერსონალურ კონტაქტს შემახსენებელ საგანსა და დამმახსოვრებელ გონებას შორის. ეს სიმბოლოები თავისთავადვე არ ატარებენ მეხსიერებას, მათში განსხეულებულია ის, რაც ჩვენ „ჩავდეთ“, ეს საგნები - მეხსიერების არეებია (იქვე. გვ.114-117). აღნიშნული ფიგურები საზოგადოების აქტიურობის შედეგად გამოხატავენ - „კოლექტიურად გაზიარებულ ცოდნას წარსულის შესახებ, რასაც ემყარება ჯგუფის ერთობისა და ინდივიდუალობის განცდა“ (იქვე. გვ.115). სწორედ ეს აქტიურობა და სიმბოლური დატვირთვის არსებობა ხდის მას დასამახსოვრებელს და აკონსერვირებს.

მეხსიერების ადგილებს ერთგვარი ილუზიის შემქმნელი ეპოქის მოწმეები არიან, რომლებსაც შემდგომი ფუნქციები გააჩნიათ: დროის შეჩერება, დავიწყების თავიდან აცილება, სიკვდილის უკვდავყოფა და მეხსიერების განსხეულება საგნებსა და ნივთებში (Winter, 2010). აღნიშნული ტერმინი ფრანგ სოციოლოგ პიერ ნორას შემოაქვს, რომელიც მეხსიერების ადგილებს უწოდებს მედიუმებს სადაც „კრისტალიზდება და ინახება მეხსიერება, რის მეშვეობითაც ნარჩუნდება ისტორიული უწყვეტობა“ (Nora, 1992). ის არის სიმბოლური მნიშვნელობებით დატვირთული, მატერიალური და არამატერიალური არეები - სახელმწიფო სიმბოლოები (დროშა, გერბი, ჰიმნი), ისტორიული ფიგურები (ეროვნული გმირი, მეფე, მოაზროვნეები); გეოგრაფიული სივრცეები (ქალაქი, ქუჩა, საბრძოლო ველი); კანონიკური ტექსტები და სახელმძღვანელოები; მემორიალური ადგილები (ძეგლი, პანთეონი, მონუმენტი); ისტორიული მოვლენები, არქივები, მუზეუმები; სუფრა და ტრადიციები; ხელოვნების ნიმუშებიც (სიმღერა, ცეკვა,

ლიტერატურა) (Nora, 1989). მოკლედ, მეხსიერების ადგილები „პატარა ნიჟარებია, რომლებიც ნაპირზე რჩება ცოცხალი მეხსიერების ზღვის მიქცევის შემდეგ“ (Nora, 1992).

მიწია ველიკონიანმა პოსტსოციალისტური ქვეყნების მაგალითზე, "მეხსიერების ადგილები" მეხსიერების პოლიტიკას დაუკავშირა, უწოდა რა მათ "მეხსიერების ინდუსტრია" (მონუმენტების აღმართვას, დღესასწაულებს, ცერემონიებს, სამახსოვრო ოფიციალური ისტორიოგრაფიული ნივთების წარმოებას), რაც პოლიტიკური ყოფის განუყოფელი ნაწილია - კომერციული, საგანმანათლებლო და კონკრეტული პროექტებიდან გამომდინარე. ახალი იდეოლოგიის შექმნის როლი, ახალი ისტორიის დაუფიქრებელი გადასინჯვა, მიზანმიმართული ამნეზია კი დაუკავშირა იდენტობის კრიზისს, რაც აუფერულებს, არღვევს მეხსიერების ნარატივებს როგორც პიროვნულ, ისე კოლექტიურ დონეზე (Velikonja, 2008: 25). ველინკონიანის ხედვით ეს საბჭოთა ბანაკის ქვეყნებში გათავისებული ფენომენია, რაც კომუნისტური სისტემის რღვევის მიუხედავად კვლავაც სახასიათოა (იქვე. გვ.15).

1.2. ლიდერის კულტი კოლექტიურ მეხსიერებაში

ტოტალიტარიზმის ყველაზე აშკარა მახასიათებელი ლიდერის კულტზე დამოკიდებულებაა. თითქმის ყველა მსგავსი ტიპის რეჟიმი პერსონიფიცირებული იყო კონკრეტულ ფიგურასთან. მესამე რაიხს ჰიტლერი ჰყავდა, 1917 წლის რუსეთის რევოლუციას ლენინი, ჩინეთს - მაო, კუბას - კასტრო. ყოველი მათგანი გაღმერთებული იყო (მაგშტადტი, 2010). მსგავსი ტიპის მოწონების მიზეზი ლიდერების ტიპსა თუ ხასიათშიც უნდა ვეძებოთ. ფაქტია, რომ დამოკიდებულებას მმართველის გარკვეული ნიშან-თვისება განსაზღვრავს.

მაქს ვებერმა ლეგიტიმური ბატონობის სამი ტიპი გამოყო: გარკვეული ქცევებისადმი, ზნე-ჩვეულებებით განპირობებული - ტრადიციული; ღვთაებრივი ნიჭით, ექსტრაორდინარული მადლით დაჯილდოებული - ქარიზმატული და „დამთმობლობის მოტივით“ მოსილი - რაციონალურ-ლეგალური ლიდერი (ვებერი, 1994).

XX საუკუნეში ჩამოყალიბებული ავტოკრატიული რეჟიმები, რომლებმაც თავიანთი ლიდერით კულტები შექმნეს (იოსებ სტალინი, ბენიტო მუსოლინი, ადოლფ ჰიტლერი, მაო ძედუნი), შეგვიძლია ვუწოდოთ ქარიზმატული ავტორიტარის რუტინიზაციის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ვებერის ტიპოლოგია მნიშვნელოვან საწყისს გვთავაზობს ლიდერის კულტურული როლის განსასაზღვრად, გარკვეულ ამბივალენტურ დამოკიდებულებასაც იწვევს. მეოცე საუკუნის კომუნისტური, ნაცისტური და ფაშისტური რეჟიმები თავიანთ ლეგიტიმაციას ტრადიციების, კანონიერი უფლებებისა და ქარიზმის კომბინაციით ამყარებდნენ. რაც უნიკალური მოდელია ლეგიტიმურობის შექმნისა - იდეების, მოვლენების, ინსტიტუტებისა და ქარიზმატული პიროვნებების ინვესტიციით. ამ სტრატეგიის ნაწილი იყო ლიდერის კულტის პოპულარიზება, რაც გარკვეული კავშირის შექმნას მოისაზრებდა ლიდერსა და სუბიექტს შორის (Rees, 2004).

ისტორიული მოღვაწეების რეპუტაციის კონსტრუირება-დეკონსტრუირება სწორედ ეროვნული იდენტობის მშენებლობის საერთო ტაქტიკაა. მეხსიერების პოლიტიკას საგულისხმო როლი აქვს გარკვეული ფიგურების შეფასება და დამახსოვრების გზებში, რადგანაც პიროვნების რეაბილიტაცია თუ რეპრესირება პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილია. ისტორიული ფიგურების სტიგმატიზირება, ქება, გადააზრება, იგნორირება ან/და უარყოფა ხდება საგანმანათლებლო ცხრილებში, პოლიტიკურ დისკურსებში და მედიის დღის წესრიგში. თუ მდგრადი წინააღმდეგობის გარეშე ფიგურათა შესახებ გარკვეული ნარატივები საყოველთაო შეიქმნება, მაშინ ისინი გახდებიან დომინანტური ეროვნული ნარატივები (შესაძლო კონტრნარატივები მაინც გავრცელდება), რომლებსაც, საბოლოო ჯამში, გარდამტეხი როლი აქვთ ეროვნული სიმბოლიზმისა და იდენტობის, ასევე პოლიტიკური დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებაში (Gugushvili, Kabachnik, & Kirvalidze, 2017).

კოლექტიურ მეხსიერებაში ლიდერის იდენტობის ფორმირებაში გარდამტეხ როლს თამაშობს პოლიტიკური მითების არსებობა სახელმწიფოებრიობის კულტურულ მნიშვნელობაზე (Kølvraa, 2016). განსაკუთრებით ეს სახასიათოა პოსტკომუნისტურ

საზოგადოებებში, სადაც მეხსიერების რიტუალიზებული რეპრეზენტაციის მეშვეობით ჰეტეროგენული ეთნიკურობის მქონე ინდივიდებისგან სურთ ჰომოგენური იდენტობის შექმნა. მსგავს არადემოკრატიულ რეჟიმებში ხშირად ვხვდებით პიროვნების კულტის ჩამოყალიბებას. მასმედიის გამოყენებით ხდება ლიდერის გაიდეალიზება, მისი ხატად წარმოჩენა და თაყვანისცემა (Lu & Soboleva, 2014).

მიულერი ლიდერისადმი შემორჩენილ მეხსიერებას ანთროპოლოგიური მოცემულობით ხედავს, რადგან „მთელი ცნობიერება მისი მეშვეობით ყალიბდება“ (Müller, 2002). იუგოსლავიის მაგალითზე, იდეოლოგიასა და პოლიტიკურ პროცესს უკავშირებს პიროვნების აღქმას, რაც იოსიპ ბროზ ტიტოს გამოსახულებას მრავალი ხორვატისთვის, საჯარო დისკურსში (მედია) მრავალგანზომილებიანს ხდის. ტიტო არ ნიშნავს მხოლოდ დიქტატორს და ყველა ხორვატის მოძულეს, არამედ ბევრი უყურებს მას სხვადასხვა კუთხიდან და ერთდროულად აფასებს მის დადებით და უარყოფით მხარეებს. დღევანდელ იდეოლოგიებს არ შეუძლია წაშალონ ან რადიკალურად არასწორად წარმოაჩინონ თითქმის 50 წლის ისტორია, თითქოს ეს არასდროს მომხდარა. ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ ამ წლების განმავლობაში, ჯერ კიდევ ცოცხლები არიან და აქვთ საკუთარი ისტორია და ისტორიები. მათ კომუნიკაციურ მეხსიერებაში ეს პერიოდი შემორჩენილია, სწორედ მათი ხმები განაპირობებენ ლიდერისადმი ხედვას.

ანა ციჩიჩი (Ana Cicic) თავის კვლევაში, სადაც ტიტოს ადგილს ეძიება კოლექტიურ მეხსიერებაში იდეოლოგიისა და დომინანტური ნაციონალიზმის როლზე საუბრობს. ნაციონალიზმი გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ფიქრობენ ადამიანები, და შესაბამისად, როგორ ახსოვთ თავიანთი წარსული. ნაციონალიზმი ხელს უწყობს ოფიციალური ისტორიული ნარატივის დამახინჯებას (Klasić, 2019). პირობითად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აშკარა გახდა, რომ ხორვატიის საზოგადოების ერთი ნაწილი უარყოფდა პარტიზანების და მათი ლიდერის, ტიტოს როლს მეორე მსოფლიო ომის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მათ მიღწევებს ანტიფაშისტურ მოძრაობაში (Cicic, 2020).

გამოდის, რომ ლოკალური ნაციონალიზმი, ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური, ლიდერის მახსოვრობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ 1956 წლის 9 მარტი ნაციონალიზმის და ეროვნული მოძრაობების ათვლის წერტილად მიიჩნევა საქართველოში, სადაც გაჟღერდა მოწოდება დამოუკიდებლობისკენ და დისიდენტურმა მოძრაობამ პირველი ნაბიჯები გადადგა (Kldiashvili, 2016).

კეტრინ ვერდერი პოსტსოციალურ სივრცეში „მკვდარი სხეულების პოლიტიკურ ცხოვრებაზე“ საუბრობს. მისი ხედვით მიცვალებულთა სხეულებს აქვთ სხვადასხვა მნიშვნელობების განსახიერების, ფრაგმენტაცია-გაერთიანების უნარი. შეუძლიათ კამათის წამოწყება მნიშვნელობებზე, ინტერპრეტირებულნი არიან სხვადასხვა აქცენტებით, რითაც იქმნებიან მძლავრ სიმბოლოებად, რაც ხელს უწყობს ისტორიის რევიზიას და მომავლის გზების გამოკვეთას (Verdery, 2000). უფრო მეტიც, მისი ხედვით, ქვაში ან ბრინჯაოში მოჩუქურთმებული ძეგლი „ცვლის ადამიანთან დაკავშირებულ დროულობას, აქცევს მას წმინდანად, ხატის მსგავსად“ (იქვე. გვ.5). და პირიქით, ძეგლის განადგურება „შლის [სიმბოლიზებულ პიროვნებას] ჩვეულებრივ დროში შეზღუდულ ადამიანად“ (Gotfredsen, 2013; Verdery 2000).

ვერდერი ავითარებს მაქს ვებერის ხედვას ლეგიტიმური ბატონობის ტიპებთან დაკავშირებით და ანთროპოლოგიური მიდგომით სძენს - ავტორიტეტს ყოველთვის აქვს „წმინდა“ კომპონენტი. სოციალისტურ რეჟიმებს ბრალს დებს ავტორიტეტისა და პოლიტიკის საკრალიზებაში, ამასთან პოლიტიკურ დისკურსში წმინდა ღირებულებების ხელახლა ჩანერგვაში. პოლიტიკის საკრალიზების ერთგვარ ინსტრუმენტად გარდაცვლილის ხელახლა დაკრძალვის მაგალითი მოჰყავს და იშველიებს იმრე ნადის ხელახლა დაკრძალულ გვამს, რომელმაც მის ფიგურას განსხვავებული კონოტაცია შესძინა. ამით შეეცადნენ ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენას ნადის ადგილთან დაკავშირებით უნგრეთის ისტორიაში, რომელიც მორალური სამყაროს შექმნის ნაწილი იყო. ამ ნაბიჯით მის ფიგურას ერთგვარი სივრცისა და დროისთვის ახალი ღირებულება მიანიჭეს.

დაკრძალვის ცერემონიულ ხასიათს თან სდევდა პოლიტიკური რიტორიკა მოვლენის ირგვლივ - ნაციონალისტური და რელიგიური გამოსახულებები. იდეოლოგიური განსხეულება, თაობებთან შესაბამისობის ძიება და პიროვნების რეაბილიტაციასთან, საკუთარი სახელის განწმენდასთან დაკავშირებული ელემენტები (Verdery, 2000).

პოლიტიკური ლიდერის გარდაცვალებას "მამის სიკვდილს" უწოდებს ჯონ ბორნემანი, მისი თქმით საბჭოთა გამოცდილება სავსეა ავტორიტარული სხეულების გატაცებით - ან სხეული მარადიულად უნდა იქცეს, როგორც ლენინი წითელ მოედანზე, ანდა განადგურდეს. იგი პიროვნების მახსოვრობაში რეპრესირების მზაკვრულ კომბინაციასაც გვთავაზობს - მისი ერთდროულად განადგურება და რეანიმაცია. ღმერთ-მეფის გამოდევნა მისი ავტორიტეტის სიმბოლური სტრუქტურის შენარჩუნებისას. პოლიტიკური პატრიციდი და გარდაცვლილი „მამის“ საფლავის მონახულება. ავტოკრატიებში ლიდერს ორმაგი იდენტობა აქვს - როგორც „ერის მამა“, რომელიც თან ხალხთან დგას - „ჩვენთან“, თან „ჩვენს ზემოთ“. მის სიკვდილსაც ორგვარი დატვირთვა აქვს - მისგან განთავისუფლება და მისი დაკარგვა, რაც სათავეს უდებს დაპირისპირებულ ნარატივებს (Borneman, 2004).

დევიდ კიდეკელი რუმინელებსა და მათ დიქტატორ ჩაუშესკუს შორის ორაზროვან ურთიერთობას ხსნის სავარაუდო „რუმინეთის მიდრეკილებას პატერნალიზმზე“. მათი არგუმენტი ესენციალურია, იდენტობასა და ნაციონალურ მიკუთვნებულობაზე დაყვანილი - ჩავუშესკო, როგორც ერის მამა (Kideckel, 2004).

ტონე ბრინგა ტიტოზე საუბრობს, რომლის ფიგურაც დემითოლოგიზირებული იყო იუგოსლავიის ძალადობრივი დაშლის დროს, რამაც გარკვეული თაობებისთვის ის ცხოვრების მშვიდობიანი და შედარებით აყვავებული პერიოდის სიმბოლოდ აქცია. დიქტატორის შერეული ეთნიკურობა (სლოვენიურ-ხორვატიული), წინააღმდეგობა გერმანიის მიმართ, მოსკოვისგან დამოუკიდებლობამ ცივი ომის პერიოდში, ის პოპულარულ კომუნისტ ლიდერად აქცია. 1980 წელს მისმა გარდაცვალებამ გამოიწვია რესპუბლიკებს შორის დაძაბულობა და ნაციონალიზმის აღორძინება, რაც ისევ ტიტოს ფიგურის გაგებიდან გამომდინარეობდა (Bringa, 2004).

ჯონ შობერლაინი აანალიზებს სტალინის, როგორც „ერის მამის“ იმიჯს, რომელიც გაჯერებულია რუსული მამობრივი მოდელით და ცარისტული ავტოკრატიული მმართველობით, რამაც სტალინი მითოსურ ფიგურად აქცია, მოახდინა მისი საკრალიზება და საბჭოთა ლიდერებიდან მხოლოდ მან მიაღწია ასეთ სტატუსს. ამიტომაც, სტალინის მოკვლა ძნელი იყო, იგი საბჭოთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. სტალინის გარდაცვალების წელი 1953, არ იყო არც დასასრული და არც დასაწყისი მისი მომაკვდაობის ამბივალენტობისა (Schoeberlein, 2004).

1.3. სტალინის სახე კოლექტიურ მეხსიერებაში - მეხსიერების ფორმირების ეტაპები

1953 წლის 5 მარტს მოსკოვის შემოგარენში, საკუთარ აგარაკზე იოსებ ბესარიონის ძე, ოფიციალური მონაცემებით, ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა (Khlevniuk, 2017). 1959 წელს რუსი პოეტი ბორის ჩიჩიბაბანი წერს ლექსს - „სტალინი არ მომკვდარა“ (ლიპმანი, 2013):

“ჯერ ადრეა ზეიმი,

დაე, სხვა ორაკულმა იყვიროს

რომ ძველი ჭრილობები აღარ გვტკივა

რომ მკვდარი მტრის სხეული აღარ არის ბაირაღი

მოდით, მან იყვიროს ამაზე, თუმცა მე კარგად ვიცი – სტალინი არ მომკვდარა“.

ამერიკელი ისტორიკოსი მარტინ მალია ასე ეხმაურება ჩიჩიბაბინის ლექსს, სამიოდე წლის შემდეგ:

“თუმცა [სტალინი] ფიზიკურად აღარ არსებობდა, იგი მაინც ცოცხლობდა და განაგრძობდა სიცოცხლეს. საბჭოთა ისტორიის დანარჩენ ოთხ ათწლეულში ერთ-ერთი მთავარი თავსატეხი გახლდათ ის, თუ როგორ დაემარხათ სტალინი. მისი სამივე მემკვიდრე,

გენერალური მდივნები – ხრუშოვი, ბრეჟნევი და გორბაჩოვი სტალინის მემკვიდრეობით გამოწვეული პრობლემების გამო წუხდნენ" - (Malia, 1994. გვ. 315) .

მეხსიერების პოლიტიკის კუთხით თუ შევნიშნავთ, 1953 წლის 5 მარტს სტალინი არა თუ გარდაიცვალა, შესაძლოა კომუნიკაციურ მეხსიერებაში იშვა კიდევაც. დიდი ბელადი ფიზიკურად აღარ არსებობდა, თუმცა მაინც განაგრძობდა სიცოცხლეს, ადამიანებში, მათ გონებაში (Malia, 1995).

მეცნიერული პრიზმით ყველაზე სიღრმისეულად შესწავლილი ეთნიკურად ქართველი იოსებ სტალინია. ხალხის ნაწილისთვის ის დადებით კონტექსტში აღიქმება, თუმცა არა ეროვნულ გმირად (Gugushvili, Kabachnik, & Kirvalidze, 2017). CRRC-ის 2015 წლის კვლევის მიხედვით სტალინს გმირად მოსახლეობის 2,2% მიიჩნევს. ზვიად გამსახურდიას, მიხეილ სააკაშვილის, ილია ჭავჭავაძის და ილია II-ის შემდგომ იგი მეხუთე ადგილს იკავებს (იქვე. გვ.468).

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოსთვის ყველაზე დიდი ზიანის მომტან ფიგურად კი მას მოსახლეობის 3,6% თვლის, ედუარდ შევარდნაძის და მიხეილ სააკაშვილის შემდეგ. მიუხედავად ამისა, სტალინი მაინც ღრმად არის ჩადებული ხალხის მიერ ქართველობის გაგებაში და საქართველოსა და სტალინის სიამაყე ერთმანეთშია გადაჯაჭვული. მისი პიროვნება ეროვნული იდენტობის გრძნობებზე დიდ ზეგავლენას ახდენს (იქვე. გვ.469).

ამიტომაც საინტერესოა იმის კვლევა თუ როგორ ჩაიბეჭდა სტალინი ქართველების კოლექტიურ მეხსიერებაში.

სტალინის ეთნიკურ წარმომავლობას გარდამტეხი მნიშვნელობა ენიჭება მისი ფიგურის აღქმასთან დაკავშირებით. მეტიც, მკვლევართა აზრით, საქართველოში სტალინის მოწონება სოციალურ-დემოგრაფიული და სივრცული ცვლადებითაა განპირობებული (Gugushvili & Kabachnik 2019). მისადმი დამოკიდებულებაზე ზეგავლენის განმაპირობებელი ფაქტორებია რესპონდენტთა ასაკი და განათლება: მის მიმართ ყველაზე

პოზიტიური დამოკიდებულება ასაკოვან (61 წელი და ზემოთ) ადამიანებში შეინიშნება. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს შორის სტალინის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ყველაზე მაღალია (გუდკოვი, 2013).

თაობებისა და განათლების დონეებს შორის არსებული განსხვავებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაც უფრო ასაკოვანი და ნაკლებად განათლებულია რესპონდენტი, მით უფრო პატივს სცემს სტალინს და პირიქით (Kabachnik, Kirvalidze, & Gugushvili, 2016). მოხუც, ღარიბ კაცს, არამჭიდროდ დასახლებული რეგიონიდან ყველაზე პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სტალინის მიმართ, მაშინ როცა ახალგაზრდა, შეძლებული ქალი ქალაქიდან, რომელიც ღიაა პრივატიზაციისთვის და აღიქვამს რუსეთს როგორც საქართველოს ყველაზე დიდ საფრთხეს, ნეგატიურად განსჯის სტალინს (Gugushvili & Kabachnik, 2015).

რიბერისთვის სტალინი „გარდამავალი ადამიანია“, რომელმაც სამი მითური არსება შექმნა - პროლეტარი ნაციონალური მიკუთვნებულობის გარეშე, ქართველი და რუსი (Rieber, 2001). ბაქრაძე ლოიალობას ფიგურის მიმართ კვაზირელიგიური ფაქტორებით ხსნის და მის ეთნიკურ წარმომავლობას, ისტორიულ ფესვებს უსვამს ხაზს, რომელიც ლოკალური პატრიოტიზმის და ხალხური თაყვანისცემის საგანია (ბაქრაძე, 2013).

სამეცნიერო ლიტერატურაში სტალინის აღქმა 4 ნაწილად იყოფა: რომელიც საფეხურებრივად ებმის ერთმანეთს. მისი კულტი 1920-იანი წლებიდან იწყებს ჩამოყალიბებას. ხელოვნება და პარტია სტალინის იმიჯზე გულმოდგინედ ზრუნავდა (Plamper, 2012). 1935 წლიდან პროპაგანდისტული მანქანა სტალინის საკულტო ნიშნებს ქმნის, წინაურდება როლი ოქტომბრის რევოლუციაში. ჯუღაშვილი ყალიბდება ლენინის ერთადერთ ლეგიტიმურ მემკვიდრედ (Ennker, 2004). მისი აღქმა შემოიტანეს ზემოდან და წარმოაჩინეს როგორც ეთნიკურად მრავალფეროვანი სსრკ-ს გამაერთიანებელი კულტურული სიმბოლო. საქართველოში კი ხაზი გაუსვეს მას, როგორც უძველესი ერის შვილს (მაისურაძე, 2012).

სტალინის კულტზე საუბრისას ასოციაცია ჩნდება საბჭოეთის ეთნიკურ პოლიტიკაზე, იგი ერთგვარი სახე იყო საბჭოური მულტიკულტურალიზმის, ზენაციონალური ჰომოსოვიეტიკური იდენტობის - წარმოშობით ქართველი, პროლეტარი ტერიტორიული საზღვრის გარეშე.

სწორედ ეს ქვეტექსტი ედო საფუძვლად ლენინის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში სტალინის ისტორიული ფიგურის საბჭოთა ხატად ქცევის პოლიტიკას - საბჭოთა კულტურული სიმბოლო, ეთნიკურად ჰეტეროგენული ხალხებისა - ლუსტრაცია მარქსის სიტყვებისა - „პროლეტარები სხვადასხვა ეროვნულ ბრძოლაში წინ აყენებენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელ ინტერესებს“ (მარქსი & ენგელსი, 1848). თუმცა საქართველოში ის მაინც რჩებოდა სოსო ჯუღაშვილად, უძველესი ქართული კულტურის შვილად (კეკელია & რაისნერი, 2022).

მომდევნო ეტაპი საბჭოთა კავშირის ე.წ. „გაეროვნულების“ პოლიტიკას დაემთხვა. როცა ხდება ისტორიული ფიგურების წინა პლანზე წამოწევა და ნაციონალისტურ იდენტობაზე ხაზგასმა. ხდება ჩარჩოს უფრო „გაეროვნულება". სტალინი ყალიბდება როგორც "ერის მამა" და პატარა ერის დიადი შვილი, რომელსაც ჰქონდა დიადი მისია და შეძლებდა "უზენაესი ძალაუფლებით" საბჭოთა ერის წარმატებულ მშენებლობას (Strong & Killingsworth, 2011).

სტალინთან ერთად ჩამოყალიბდა შოთა რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის მსგავს ეროვნულ ფიგურათა კულტები. „დიდი ლიდერი“ შეიმკო „ეროვნული ორნამენტებით“ (კეკელია & რაისნერი, 2022).

ხელოვანებმა, მწერლებმა, პარტიის წევრებმა ბელადის 60 წლის იუბილე 1939 წელს, ისევე როგორც 70 წლის იუბილე 1949 წელს, საჯარო ხოტბა-დიდებით და ოვაციებით იზეიმეს (ლეონიძე, 1949). სტალინი გახდა ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი, იგი იყო ჩვეულ ყოფა-ცხოვრებაში, დაწყებული ოჯახიდან, გაგრძელებული საბავშვო ბაღით. ახალ თაობას, ადამიანებს სტალინის კულტთან სოციალიზაცია უწევდათ, რაც ცხადია დიდ ზეგავლენას ახდენდა მათ მსოფლმხედველობაზე, პიროვნებად ჩამოყალიბებაზე.

მომდევნო ეტაპი სტალინის გარდაცვალების შემდგომ პერიოდს ემთხვევა.

სტალინის გარდაცვალებას სახალხო გლოვა მოჰყვა. იგი უკანასკნელ გზაზე 1953 წლის 9 მარტს გააცილეს. ფაქტი იყო რომ ფიცრულ კუბოში მწოლიარე ტირანმა ასიათასობით ადამიანი შეიწირა, თუმცა სტალინის თაყვანისმცემელთა რიგი მაინც მძლავრი იყო - უზღვავმა ბრბომ ერთმანეთი გადათელეს, ერთ მიზნის გამო - რათა სტალინი უკანასკნელად ენახათ (ლიპმანი, 2013). ჯუღაშვილის ბალზამირებული სხეული 9 მარტს ლენინის გვერდით, მავზოლეუმში, სამარადისოდ შესანახად დაასვენეს (იქვე. გვ.29).

1956 წლის 25 თებერვალს, სსრკპ-ს XX ყრილობაზე, ახალმა ლიდერმა საიდუმლო სიტყვაში „პიროვნების კულტის შესახებ“ სტალინი დაგმო და მას ბრალი მთელ რიგ სისტემურ ჩავარდნებში, რეპრესიებში, საბჭოთა ხალხისთვის მიყენებულ ტანჯვაში დასდო. იწყება დესტალინიზაცია - სტალინის კულტის „(საბჭოთა) ერის მამიდან“ „ხალხის მტრად“ ტრანსფორმაცია (კეკელია & რაისნერი, 2022). ხრუშოვმა მოსპო და გაანადგურა სტალინთან დაკავშირებული ფიზიკური სიმბოლოები, დაიწყო აქტიური დავიწყება და ბრძოლა ტოპონიმებით. მარია ლიპმანი წერს: უამრავ ქალაქს, ქუჩას, ქარხანას და კოლმეურნეობას, რომლებიც სტალინის სახელს ატარებდა, სახელები შეუცვალეს (ლიპმანი, 2013). იმავე წელსვე იწყება გულაგებიდან პატიმრების გამოშვება და რეაბილიტაცია, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ ღალატში.

სტალინის დისკრედიტაციამ საბჭოთა საზოგადოებაში დიდი წინააღმდეგობა და არეულობა გამოიწვია. ადამიანები იმ ლიდერის ტალახში ამოსვრის გამო განრისხდნენ, რომელსაც ღმერთივით ეთაყვანებოდნენ. 1956 წელს საქართველოში ხალხის ასეთმა განრისხებამ, სტალინის გარდაცვალების 3 წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო ღონისძიება სახალხო საპროტესტო გამოსვლად გადააქცია, რაც რამდენიმე დღე გაგრძელდა და საბოლოოდ სასტიკად იქნა ჩახშობილი (Avalishvili, 2016). საგულისხმოა ორგვარი ნარატივი 9 მარტთან დაკავშირებით. როგორც ქართველი სტალინელი და პროტესტის ერთ-ერთი ორგანიზატორი გრიშა ონიანი ამბობს, სტუდენტთა ნაწილი

ხრუშოვის ანტიქართულ პოლიტიკას აპროტესტებდა, იცავდა სტალინის ქართველობას, მეორე ნაწილი კი მის ფიგურას, როგორც ბელადს (ინტერვიუ გრიშა ონიანთან. 30.05.2023).

1961 წლის 31 ოქტომბერს, კომპარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებით სტალინის სხეული ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ჩუმად გამოიტანეს მავზოლეუმიდან, თუმცა იქვე, წითელ მოედანზე, ლენინთან ახლოს დატოვეს. ხრუშოვისეული დესტალინიზაცია აქ დამთავრდა (ლიპმანი, 2013).

საბჭოთა ნომენკლატურის ბევრი ხელმძღვანელი დესტალინიზაციის პროცესს ალმაცერით, შეშფოთებული უყურებდა. უმაღლესი ხელმძღვანელის დაგმობამ ბიძგი მისცა საჯარო დებატებს, რომელიც რეჟიმის ლეგიტიმაციას უთხრიდა ძირს. რეჟიმისა, რომელიც კომუნისტური სახელმწიფოს აბსოლუტური შეუმცდარობის კონცეფციაზე იდგა (იქვე. გვ.29).

1964 წელს ხრუშოვი უსისხლო სახელმწიფო გადატრიალების შედეგად გადააყენეს. შემდგომმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ შეაჩერა მისი ანტისტალინური კამპანია. დაიწყო "მდორედ მიმდინარე რესტალინიზაციის" დრო. ღიად დაგმობა შეწყდა, მაგრამ მისი უდანაშაულობა საჯაროდ არ გამოუცხადებიათ. უბრალოდ მისი სახელი ქრება ოფიციალური დისკურსიდან. ხრუშოვის დროინდელი საბჭოთა საზოგადოების ისედაც მცირე საჯარო მონაწილეობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში შეწყდა ან იატაკქვეშეთში გადაინაცვლა (იქვე. გვ.30).

დესტალინიზაციის ახალი ტალღა გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლით იწყება, „პერესტროიკით" და „გლასნოსტით", რომლის მთავარი ელემენტი „ისტორიის შემობრუნება" იყო. 80-იან წლებში იხსნება არქივები, იწერება წიგნები, სტატიები - საზოგადოებამ კომუნისტური ტყუილები და სიმახინჯეები ამხილა. ხრუშოვის მიერ სტალინის დანაშაულების გამოაშკარავების კამპანიისგან განსხვავებით, დესტალინიზაციის ამ რაუნდში უკვე ფართო საზოგადოება ჩაერთო. ძალისხმევის ინერცია იმდენად დიდი იყო, რომ მოხერხდა კომუნისტური რეჟიმის რადიკალური

დელეგიტიმიზაცია, რასაც 1991 წლის ბოლოს საბჭოთა კომუნიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა (იქვე. გვ.30).

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად იშლება პოზიტიური დამოკიდებულებები სტალინის მიმართაც. ბორის ელცინი, რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი, ძლიერ ანტიკომუნისტი იყო. მისმა მთავრობამ უარყო საბჭოთა სისტემა და დასავლური დემოკრატიის რელსებზე გადასვლისკენ შეამზადა ნიადაგი. სტალინიზმი დაიგმო და ტირანული კომუნისტური რეჟიმი თითქოს დასრულდა (იქვე. გვ.30).

ეკონომიკური მდგომარეობის, გეოპოლიტიკური ვითარებისა და კავკასიაში დაპირისპირების გამო ელცინის მხარდაჭერა საკმაოდ შესუსტდა, გაძლიერდა კომუნისტური ფლანგი. ქვეყანა მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა, რამაც ხელი შეუშალა სახელმწიფო დონეზე დესტალინიზაციის პროცესის ლოგიკურ დასასრულს. სტალინის საფლავი დარჩა წითელ მოედანზე (ლენინის სხეული კი – მავზოლეუმში) და არავითარი გულაგის მსხვერპლთა ეროვნული მემორიალი არ შექმნილა. საბჭოთა კომუნიზმის სამართლებრივად დაგმობის კიდევ ერთი მცდელობა ეფექტიანი არ აღმოჩნდა. კომუნისტური პარტიის გასამართლების მცდელობა და საბჭოთა დამნაშავე რეჟიმისთვის ვერდიქტის გამოტანა 1992 წელს ჩაიშალა (იქვე. გვ.31).

სტალინისადმი სიმპათია რუსეთსა და საქართველოში განსხვავებულია - თუ რუსეთში სტალინი პატერნალისტური წესრიგის ანდა სახელმწიფოს მკაცრი ხელის სიმბოლოა, საქართველოში ის უფრო პერვერსიული, ნორმიდან გადახვეული, არსებული წესრიგის მიმართ აჯანყებული ინდივიდია. ქართველებისთვის დღემდე უჩვეულოა ის, რომ დაპყრობილი ერის წარმომადგენელი მეტროპოლიის სათავეში მოექცა (ბაქრაძე, 2013). ლაშა ბაქრაძის თქმით ქართველებს არ უნდა სჭირდებოდეთ ეროვნული გმირი სტალინის სახით, მაგრამ იგი ქართველებისთვის ძლიერ პიროვნებად დარჩა, რომელიც მსოფლიოს შიშის ზარს სცემდა და დღემდე ყველაზე ცნობილი ქართველია. იგი ერთგვარი ლოკალური პატრიოტიზმის და ხალხური თაყვანისცემის საგანი გახდა. მისი სურათი

ყველა მეწაღეს (ალბათ, როგორც მეწაღის შვილი, თითქოს მეწაღეთა მფარველი წმინდანი) ღვთისმშობლის ხატის გვერდით უკიდია (იქვე. გვ.70).

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში ურთულესი პერიოდი შეიქმნა, ყოველდღიურობა იყო ტრავმა. სოციალური და პოლიტიკური გარემო კრიტიკულად მძიმე, რომელიც უახლესი ისტორიის სერიოზულად განსჯის საშუალებას არ იძლეოდა. 1995 წლის 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავზე ედუარდ შევარდნაძემ სტალინის მუზეუმში სტალინის "ფენომენის" შესასწავლი ცენტრის შექმნაზე ისაუბრა – მაგრამ, ეს გეგმა არ განხორციელებულა. ეს დაუინტერესებლობა უახლესი ისტორიით, მტკივნეული საკითხებისადმი წაყრუების, დანაშაულის გრძნობისგან გაქცევის მცდელობა და სხვაზე გადაბრალების სურვილი, ქართულ საზოგადოებაში დღემდე გრძელდება (იქვე. გვ. 71-72).

საქართველოში სტალინის გააზრების ბოლო ეტაპი 2003 წლის ვარდების რევოლუციიდან იწყება, რომელიც არც ისე თანმიმდევრული იყო. თავიდან ნეიტრალური, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავების შემდგომ კი ცხადად ნეგატიური (ქარაია, 2015). მეხსიერების პოლიტიკა პირდაპირპროპორციულ კავშირში იყო მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობასთან. დიპლომატიურ კრიზისს თან სდევდა ნაბიჯის გადადგმა სტალინის ფიგურის რეპრესირებისკენ. 2006 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბაზაზე „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი" გაიხსნა. 2008 წლიდან იწყება საუბარი სტალინის ძეგლის არსებობის შესახებ (Kikodze, 2012). 2010 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „თავისუფლების ქარტია", რომლის მიხედვითაც ყოფილი საბჭოთა მაღალჩინოსნების ლუსტრაცია უნდა მომხდარიყო და აკრძალულიყო საბჭოთა და ნაცისტური სიმბოლოების საჯარო გამოფენა, რაც საბოლოოდ სტალინის ძეგლის აღებით დასრულდა ქალაქ გორში 2010 წლის 25-26 ივნისს. თუმცაღა, ძეგლის აღებას მეხსიერების ცვალებადობა არ მოჰყოლია. გორში 7 ათასზე მეტმა ადამიანმა ხელი მოაწერა პეტიციას, მერიის წინ სტალინის ძეგლის დაბრუნების მოთხოვნით (კეკელია & რაისნერი, 2022).

თავი II – როგორ აღიქვამენ სტალინს?

„სტალინის გარდაცვალების დღეს არაფერს ვაკეთებთ, ისევ ცოცხალია - „ჩვენს გულებში ცოცხლობს“. - მალხაზი[2], 60 წლის, ზემო ალვანი

II თავი აანალიზებს ახმეტაში (ზემო ალვანი, ქვემო ალვანი), ბათუმსა და გორში საველე კვლევის პროცესში შეგროვებული ინდივიდუალისტური ხსოვნის შედეგს: სამი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან ჩატარებულ 59 ინტერვიუსა და 22 სტალინისტთან[3] ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ძირითად მიგნებებს. აღნიშნული თავი ორიენტირებული იქნება გამოკვეთილ ტენდენციებზე, რომლებიც დაკავშირებულია სტალინის ფიგურის აღქმასთან, მის პიროვნებასთან თუ წარმართულ პოლიტიკასთან.

კოლექტიურ მეხსიერებაში, ინდივიდის ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ისტორიის აღქმაში ნარატივებს მთავარი როლი უჭირავთ (Wertsch, 2002). საქართველოს სამ ქალაქში ჩატარებული 81 ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგად, სამი თაობის ადამიანებმა და სტალინელებმა სტალინის პიროვნების აღქმასთან დაკავშირებული რამდენიმე ნარატივი გამოყვეს - რომლებიც დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებასთან, საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ-პოლიტიკასთან, სტალინის პიროვნულ მახასიათებლებთან და მის ქართველობასთან.

გამომდინარე იქიდან, რომ ორიენტირი თაობათა კვლევაზეა აღებული, კიდევ ერთხელ გავმიჯნოთ სამი თაობა და მათი მახასიათებლები სტალინის ფიგურის აღქმის პროცესში: G1-ს განეკუთვნებიან 18-34 წლის ადამიანები, რომლებიც დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადნენ და არ აქვთ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ცხოვრების გამოცდილება; G2-ს

---

[2] მათსავე ნებართვის საფუძველზე, სახელებით მოხსენიებულია სტალინის მიმდევრები, რომლებთანაც ჩატარდა ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ.

[3] სტალინისტია ადამიანი, ვინც თვლის რომ მისი მიმდევარია, აქვს განსაკუთრებით რომანტიზებული ხსოვნა და ნოსტალგია სტალინის პიროვნების მიმართ. საკუთარ სახლში ინახავს მის შესახებ არსებულ ნივთებს, აღნიშნავს მის დაბადების, გარდაცვალების დღეს, 9 მაისს და მონაწილეობს ორგანიზებულად დაგეგმილ შეხვედრებში ქალაქ გორში, მუზეუმის მიმდებარედ.

35-54 წლის - 1969-1988 წლებში დაბადებული ადამიანები წარმოადგენენ. ეს არის გარდამავალი პერიოდი სტალინის კულტის დათბობას - "მდორედ მიმდინარე რესტალინიზაციასა" და დესტალინიზაციის გორბაჩოვისეულ ახალი ტალღას შორის; G3 კი – 55+ წელი - ეს ის თაობაა, რომელსაც ცხოვრება უშუალოდ ხრუშოვის დროს მოუწია, როცა იწყება დესტალინიზაცია - სტალინის კულტის „(საბჭოთა) ერის მამიდან“ „ხალხის მტრად“ ტრანსფორმაცია.

1. **სამამულო ომში გამარჯვების შემოქმედი**

“აგრე რომ ვთქვათ, გიტლერის ნაშიერები რომ არ ვართ პაპაჩემი სტალინის დამსახურებაა”

- მურთაზი, 65 წლის, ზემო ალვანი

G2, G3 ადამიანებსა და სტალინელებში განსაკუთრებით მძაფრადაა შემორჩენილი ნოსტალგია სტალინის, საბჭოთა ეპოქის მიმართ. დომინანტური ნარატივის სახით, უმთავრეს მიღწევად, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება გვეგებება. ფაშიზმის ძლევა, არის იმ მთავარ გამარჯვებათაგან ერთ-ერთი, რასაც სტალინმა თავისი პიროვნული მახასიათებლებით მიაღწია და დასამახსოვრებელ ფიგურად აქცია. გერმანიის დაჩოქება, მსოფლიოს მთავარი მტრის განადგურება, გონივრული ომის წარმოება არის ის ნარატივი, რომელსაც გამოკითხული მოქალაქეები უსვამენ ხაზს. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ომში გამარჯვებამ მოიტანა ქართველობაც, რომ არა მისი ბრძნული, „ტვინიანი პოლიტიკა“ ქართველობაც არ იქნებოდა, არც ქართული ენა, არც ეროვნება და არც ტრადიცია - *„გავხდებოდით გიტლერის ნაშიერები“.* ამიტომაც შესამჩნევია ბმა სტალინთან, როგორც ქართველის ეროვნულობის დამცველთან - პირადად მის დამსახურებადაა მიჩნეული გერმანელების არ შემოშვება კავკასიაში: *“სტალინს რომ არ გაემარჯვებია რას ვიზამდით - ქართველები ვიქნებოდით? - მაგრამ არა, ბავარიის ლუდს დავლევდით”* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 75 წლის. 08/05/2023).

განსაკუთრებით კი ხაზს უსვამენ მის ქცევას, განკარგულებებს ჯარისკაცებისადმი. ერთგვარ თავგანწირვად და გმირობადაა შეფასებული დამოკიდებულება შვილის მიმართ, როცა ტყვედ ჩავარდნილი იაკობ ჯუღაშვილი ფელდმარშალ პაულიუსზე არ გაცვალა.

ხაზსაც უსვამენ მის ფრთიან ფრაზას - "მე ჯარისკაცს ფელდმარშალში არ ვცვლი". ამ ამბის სისწორეზე დაბეჯითებით საუბარი არასწორია, თუმცა ფაქტია, რომ მოვლენას დასამახსოვრებელს ხდის (კუპატაძე, 2016): *„2008-ში სუყველა საზღვარზე იყვნენ პარლამენტარები. სტალინმა კიდე ომში შვილი გაწირა გერმანელ მოხელეში. მაგიტომ ვცემ პატივ“*- (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 58 წლის. 08/05/2023).

2. **ქართველი სოსო ჯუღაშვილი, გორიდან**

“ის იყო იოსებ ჯუღაშვილი. ეს არის მთავარი” - მურთაზი, 65 წლის, ზემო ალვანი

საქართველოში სტალინის მუდმივი მახსოვრობის ამხსნელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მისი ქართველობაა. სწორედ ეროვნული მიკუთვნებულობის ფენომენი განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას მის მიმართ, რაც ფიგურას საამაყოს ხდის: *„მსიამოვნებს, რომ ამ პატარა ქვეყანამ, ამ პატარა ერმა, ქართველმა ასეთი გენია დაბადა”*- (ინტერვიუ საქართველოს კომუნისტური პარტიის თავმჯდომარესთან. 01/05/2023); *“მისი ქართველობა თავისებურად გიხარია, გიხარია რომ შენია. მაინც თავი მაღლა მიჭერია”* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი 59 წლის. 08/05/2023).

კვლევისას იკვეთება ასევე შემდეგი -“პატარა ერის დიადი შვილის” ნარატივი - პიროვნება, რომელმაც საქართველო სახელი მსოფლიო მასშტაბებზე გაიტანა. ამ ნარატივის ძირითადი მახასიათებლებია: *“მსოფლიო ლიდერები უწევდნენ ანგარიშს. აზანზარებდა თუ არა მსოფლიოს. მარტო საბჭოთა კავშირში არა, რუზველტი, ჩერჩილი და ეგენი სტალინის გარეშე ვერ შვრებოდნენ. მარტო მაგიტომაა დასაფასებელი , რომ ჰქონდა ამ კაცს წონა”* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 75 წლის. 08/05/2023); ეს ზეგავლენა მისი *„სიმკაცრით და გონიერებით იყო განპირობებული“* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023); *„რთულ პერიოდში მოახერხა გადარჩენა. დანგრეული ქვეყანა ააშენა”* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 75 წლის. 08/05/2023).

ამასთანავე, გამოკითხულთა ნაწილს გარკვეულ სამოქალაქო ვალდებულებადაც მიაჩნია სიამაყის გრძნობა სტალინის პიროვნების მიმართ. გვთავაზობენ შესაბამის ფორმულასაც: თუ ქართველი ხარ, თუ სამშობლო გიყვარს, სტალინიც უნდა გიყვარდეს, რადგან ის XX საუკუნის უდიდესი ქართველი იყო: *"მაგისთანა კაცი დაიბადება რაიონში კაცო? შევარცხვინე ის ქართველი ვინც მაგაზე ცუდს იტყვის"* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 82 წლის. 07/05/2023).

ვხვდებით ქართველობის, როგორც ძლიერების გამომხატველ ნარატივსაც, რომლის მიხედვითაც სწორედ მისმა ქართველურმა წარმომავლობამ გაამარჯვებინა ომში. სხვა ეროვნული მიკუთვნებულობის შემთხვევაში მარცხს განიცდიდა: *„იყო კაცი კაცური და ხალხის მაყურებელი. ქართველი იყო, რუსი რომ ყოფილიყო შეიძლება ომი ვერ მოეგო"* - (ინტერვიუ ბათუმის მცხოვრებთან, კაცი, 79 წლის. 15/05/2023).

გორსა და მიმდებარე სოფლებში განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა შეინიშნება სტალინის ფიგურის მიმართ. ამას მოწმობს მარტო ქალაქში არსებული სამი ძეგლი, მისი სახელობის ქუჩა, კერძო ბიზნესები (რესტორანი „ჟოზეფი") და ხალხის დამოკიდებულება. G2 და G3 ადამიანები პირდაპირ ამბობენ რომ უყვართ სტალინი, უყვართ მასზე საუბარი, გახსენება, რადგან ერთგვარი სიამაყის გრძნობაა, როცა ის იმავე ქალაქში დააბიჯებდა, სადაც ახლა ისინი არიან. მოქალაქეებთან საუბრისას იკვეთება - „ყველაზე დიდი გორელის" ნარატივი. გორელის, რომელიც მთელ მსოფლიოზე ბატონობდა, რაც რიგითი მოქალაქისთვის სიამაყის, სიყვარულის საფუძველს წარმაოდგენს.

განსაკუთრებით საინტერესოა ნაციონალისტური კონტექსტის შემოსვლა სტალინის პიროვნების აღქმის დისკურსში - ეროვნული ლიდერებიდან სტალინთან ერთად ჩნდება ილია ჭავჭავაძისა და ზვიად გამსახურდიას ასოციაციები. ეთერი (63 წლის, ქვემო ალვანი) სტალინსა და ზვიადს ერთმანეთს ადარებს. მათ პოლიტიკურ მოღვაწეობას ათანაბრებს. სძენს კიდევაც - ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც რასაც ფიქრობს იმას ლაპარაკობს და რასაც ლაპარაკობს იმას აკეთებს, სტალინი და ზვიად გამსახურდია იყო საქართველოს

ისტორიაშიო. კი მართალია გამსახურდიას არ დასცალდა, თუმცა ერთ წელიწადშიც შეძლო ამის დადასტურებაო.

იქვე შემოდის ილია ჭავჭავაძის ფენომენზე საუბარი - მის მნიშვნელობაზე საქართველოს ჩამოყალიბების, ერ-სახელმწიფოდ ქცევის საქმეში. ილია ჭავჭავაძე ის ფიგურაა, რომელზეც სტალინისტები დიდი მოწიწებით საუბრობენ და ყველაზე დიდ ქართველს უწოდებენ. ასე ფიქრობს ეთერიც და გრიშა ონიანიც (ინტერვიუ საერთაშორისო საზოგადოება "სტალინის" დამფუძნებელთან. 30/05/2023), რომლებიც მის ფიგურას ძალიან დიდი პატივს სცემენ. ეს შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ილიამ სტალინი შეაქო და ლექსები გამოუქვეყნა, თუმცა საქმე მაინც სხვაგვარადაა. სტალინი ლოკალური ნაციონალიზმის აღმასვლის სიმბოლოდაა ქცეული, რომელმაც ილია ჭავჭავაძესთან და ზვიად გამსახურდიასთან ერთად საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობას შეუწყო ხელი.

3. უნივერსალური ეკონომიკური პოლიტიკის ავტორი

"ვაი ვაგლახი გამოიარა {მეორე მსოფლიო ომი} და დანძვირების მაგივრად აიაფებდა ყველაფერს" – 86 წლის, კაცი, ზემო ალვანი

საზოგადოებაში განსაკუთრებული ნოსტალგია გამოწვეულია სოციო-ეკონომიკური ფაქტორით. მათთვის სტალინი უნივერსალური ეკონომიკური პოლიტიკის ავტორია, რომლის დროსაც პროდუქცია იაფი და ხელმისაწვდომი იყო. ამიტომაც, G2 და G3 თაობის ადამიანების მეტყველებაში ხშირად გაისმის ფრაზა - "დაიაფება", "უფასო პროდუქტი", "ყველა მუშაობდა", "უმუშევრებს ციხეში სვამდნენ".

პროდუქტების დაიაფება - პურის, ზეთის, ასანთის, საწვავის, მარილის და მათ მიზერულ ფასად გაყიდვა, ეკონომიკის გეგმური მართვა არის განხილვის მთავარი საკითხი, რომელიც სტალინის ეპოქას სანატრელს ხდის: *"მე ვიცხოვრებდი სტალინის ხანაში, სიიაფე მიდიოდა, პური იაფდებოდა, საწვავი იაფდებოდა, მიუხედავად იმისა რომ გაჩერებული იყო საბჭოთა კავშირი. ეკონომიკა ფეხზე დგებოდა მაინც"* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, ქალი, 65 წლის. 07/05/2023).

ეკონომიკაზე საუბარს თან სდევს ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობის ხაზგასმაც - ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა და მოსახლეობის დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. ალვანშიც, ახმეტაშიც და მით უფრო გორში მოსახლეობა ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობას უსვამს ხაზს - საავტომობილო, ვაგონმშენებელი, საკონსერვო, საავიაციო ქარხნების მშენებლობის ბუმს, სადაც ყველა მუშაობდა. ამას სდევდა საბინაო პოლიტიკაც, რომელიც კიდევ უფრო სოციალურად უზრუნველყოფილს ხდიდა მშრომელს.

ნიშანდობლივია მეორე მსოფლიო ომის გავლენა ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამამულო ომმა ეკონომიკა დააზიანა, სტალინმა იმდენი შეძლო, რომ საბჭოთა კავშირში მშიერი არავინ იყო, ყველას ჰქონდა სამუშაო და შეეძლო საკუთარი თავისა და ოჯახის გამოკვება: *"ვაი ვაგლახი გამოიარა {მეორე მსოფლიო ომი} და დანძვირების მაგივრად აიაფებდა ყველაფერს"* – (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 86 წლის. 07/05/2023)

საინტერესოა შედარება დღევანდელ ყოფასთან. ადამიანები თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრისას პარალელებს სტალინის ხანასთან ავლებენ, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ნოსტალგიას, მონატრებას იმ პერიოდის მიმართ. დღეს თუ ყოველი ფეხის გადადგმისას ფასები იმატებს, ხალხი მშიერია, სოციალურად დაუცველთა რაოდენობა მზარდია, სტალინის პერიოდში ყველაფერი პირიქით იყო, იაფი და ხელმისაწვომი: *„რაც სტალინმა გააკეთა ეკონომიკაში, ომის შემდეგ, ეგ იყო არანაკლები გმირობა, ვიდრე ომის მოგება. თითოეულ ოჯახს გაუუმჯობესდა მდგომარეობა. შეუძლებელი შეძლო. ოჯახებში პრობლემა არ იყო საკვები, რაც დღეს არის"* - (ინტერვიუ ქვემო ალვანის მცხოვრებთან, ქალი, 63 წლის. 09/05/2023).

მნიშვნელოვანია G1 თაობის პოზიციაც ამ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ არც საბჭოთა კავშირში უცხოვრიათ, მით უფრო სტალინის დროს, ასმანისეულ კომუნიკაციურ მეხსიერებაშიც სტალინიზმის ხანა ეკონომიკურ განვითარებასთან ასოცირდება. უფასო მარილისა და ასანთის არსებობა აფიქრებინებთ ეკონომიკის მაღალ განვითარებაზე, რომელიც მისაღები და მოსაწონია მათთვის: *"ბევრი ქარხანა ააშენა,*

როგორც ამბობენ მარილი და ასანთი უფასო იყოო, პროდუქტიც იაფი, რაც კარგია" – (ინტერვიუ ქვემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 23 წლის. 06/05/2023)

გამოკითხულთა დიდი ნაწილი, შეკითხვაზე - რა იყო სტალინის მთავარი მიღწევა? - სწორედ ეკონომიკას პასუხობდა. მის შექმნილ გეგმურ ეკონომიკურ პოლიტიკას, ინდუსტრიალიზაციას, ფართომასშტაბიან საწარმოებსა და დასაქმების მაღალ ნიშნულს. ფაქტია, რომ სამივე თაობისთვის და სტალინელებისთვის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა პიროვნების აღქმაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. მათთვის სტალინი არა რეპრესიების ავტორი, არამედ ეფექტური ეკონომიკის შემქმნელია, კრიზისული პოლიტიკური პროცესების ფონზე, მაშინ როცა მსოფლიო ფაშიზმს ებრძოდა.

4. **ფოლადის კაცი - პიროვნული მახასიათებლები**

"დღესაც მკვდრისა ეშინითა, იმხელა პიროვნება იყო. დღსაც აზანზარებს ის კაცი, მაშ" – 58 წლის, კაცი, ზემო ალვანი

მიუხედავად სტალინის საქმიანობის, მიღწევების შეფასებისა, მოსახლეობისთვის ყველაზე დასამახსოვრებელი და მნიშვნელოვანი, რაც ასევე სტალინის ქართველობით აიხსნება, მისი პიროვნული მახასიათებლებია - უნარები, ცოდნა, ცხოვრების სტილი, წარსული გამოცდილება, მართვის ხელოვნება და მისეული ხედვა სახელმწიფოს მოწყობისა.

მეტა-ნარატივად „გაუნათლებელი კაცის ამხელა თანამდებობაზე ჩაბღაუჭება" გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ სტალინს უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, ერთი ღარიბი ოჯახიდან იყო, თავისი ცოდნით, შრომით, „ტვინიანი ქმედებით" მიაღწია იმდენს, რომ საბჭოთა კავშირის მეთაური გახდა, რაც საამაყოა G2 და G3 ადამიანებისთვის. ამას ერთვის მისი პატიოსანი ბუნება, პიროვნული ძლიერება, „მრავალ წიგნ ნაკითხი კაცი" და თავდაუზოგავი შრომა, რომელიც ის ბელადი გახადა: *"სტალინი იყო დიდი მასწავლებელი ესე წაგვიკითხნია და ესე ვიცით და სტალინს მე მაგალითად ვეთაყვანები. ძალიან მიყვარს, მიყვარს იმისი პრინციპები, იმისი იდეები. ძლიერი, უძლეველი იყო . ხელი ძლიერი უნდა იყოს და ტვინიც ძლიერი"* - (ინტერვიუ ახმეტის მცხოვრებთან, ქალი, 63 წლის. 08/05/2023).

სამივე თაობის ადამიანი ხაზს უსვამს წესრიგისა და სამართლიანობის მნიშვნელობას სახელმწიფოს მართვის პროცესში, რაც მათი ხედვით სტალინის მმართველობას ლაიტმოტივად გასდევდა. მათ შორის G1 წარმომადგენლებიც, რომელთათვისაც კანონის უზენაესობა და წესრიგის დაცვა უმნიშვნელოვანესია, რაც სტალინი პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო: *"კარგიც გაუკეთებია და ცუდიც, კარგი ის იყო რო წესრიგი იყო ქვეყანაში, კანონს იცავდნენ, ცუდი - ადამიანების დაღუპვა"* – (ინტერვიუ ქვემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 16 წლის. 10/05/2023). მისმა დიდმა ავტორიტეტმა, პირუთვნელობამ და სამართლიანობის წყურვილმა ხალხის პატივისცემა არგუნა - იგი ჩამოყალიბდა პიროვნებად, რომელიც ცუდად მოპყრობას არავის აპატიებდა: *„დიდი ავტორიტეტი იმით დაიმსახურა, სამართლიანი იყო, თავის გარშემო მყოფ ელიტას არ მისცა საშუალება ხალხის ნაშრომი მიეთვისებინა და იმ ხალხის ნაშრომს სახელმწიფოს აღორძინებისთვის იყენებდა"* - (ინტერვიუ ქვემო ალვანის მცხოვრებთან, ქალი, 63 წლის. 09/05/2023).

საგულისხმოა მისი როლი მსოფლიო პოლიტიკურ პროცესში, ზეგავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე, რაც ერთგვარად სიამაყის ელემენტია G3 ადამიანებისთვის. საუბრისას ბევრი ადამიანი იშველიებდა ხელის მუჭს, ილუსტრირებისთვის, თუ როგორ ჰყავდა მოქცეული მუჭში ამ ერთ ქართველ კაცს მთელი მსოფლიო, რომელსაც ხელის ერთი დაქნევით აზანზარებდა. მსოფლიოს ბატონ-პატრონი იყო, რითაც რუსეთიც დააჩოქა და მისი მთავარი მტერიც, ამიტომაც მათდა უნებურად ყველა ფეხზე უდგებოდა: *"ეკუთვნოდა და იყო გენერალ-სიმუსი. პოსტდამში რომ სხედან, სტალინი იგვიანებს, რომ შემოვიდა ყველა ფეხზე წამოდგა. მარტო მაგიტომ რა"* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023).

ვხვდებით "საბჭოთა ერის მამის" ფენომენსაც. სტალინი, როგორც პროლეტარიატის ბელადი, რომელიც მშრომელებისთვის ყველაფერს აკეთებდა: *"ხალხისთვის იყო ის, ის იყო ხალხის მამა"* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 63 წლის. 08/05/2023). რასაც შემდგომში უკავშირებენ მის გამარჯვებას სამამულო ომში, ცხადია პიროვნულ ნიშნებთან ერთად: *"წამდვილი ქართველი ხალხის მამა იყო, პრინციპული რომ არ ყოფილიყო,*

პრინციპული, ვერც ომს მოიგებდა და სამართლიანი, ჩემთვის ეგრე მწამს" - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 63 წლის. 08/05/2023).

შესამჩნევია პარალელების გავლება დღევანდელობასთან, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური პროცესთან. შემოდის ჰიპოთეზური დაშვება - "სტალინი რომ იყოს, ასე არ მოხდებოდა" - არ იქნებოდა კორუფცია, საზოგადოება უფრო კანონმორჩილი, პოლიტიკური ლიდერისადმი შიშით განწყობილი იქნებოდა, რაც განაპირობებდა საყოველთაო წესრიგს. შევარდნაძის მთავრობიდან მოყოლებული კორუფციონერებისა და კორუმპირებულების არსებობა, სწორად არამკაცრი, უსამართლო პოლიტიკის ბრალიაო, რომელიც სტალინის მმართველობის დროს მკაცრად ისჯებოდა: *„სტალინის დროს დედას უტირებდნენ, მიწიდან ამოთხრიდნენ - "შიში შეიქმნს სიყვარულსო". მაგიტომ პატივსა სცემდა ხალხი"* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023). ამის გაგრძელებაა ნოსტალგია ძლიერი ხელისუფლის მიმართ, მკაცრი ხელის უპირატესი მხარე, რომელიც დღევანდელ საქართველოს სჭირდება, რათა უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ: *„სტალინი მკაცრი და კარგიც იყო იმ მხრივ რომ შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო. და დღესდღეობით ისეთი ცხოვრება არ გვქონოდა როგორიც გვაქვს"* – (ინტერვიუ ახმეტის მცხოვრებთან, ქალი, 43 წლის. 08/05/2023).

სტალინის ფიგურასთან დაკავშირებით განსაკუთრებით თვალშისაღებია პოზიცია 101 წლის ახმეტელი ომის ვეტერანის, დიმიტრი ვეშაგურიძისა, რომელმაც სტალინიპირადადაც ნახა: *„მოსკოვში პარადზე ვნახე, ჩვეულებრივი, „ზდაროვი" კაცი იყო. ეტყობოდა მეტისმეტი განათლებული იყო".* მისთვის სტალინი ყველაზე ძლიერი, ყოვლის მცოდნე ადამიანია, რომელსაც ყველაზე მეტად სურდა მსოფლიოში მშვიდობის დამყარება.

ამიტომაც, საერთო ნარატივი ასეთია - სტალინი პიროვნული მახასიათებლები, მისი სამართლიანობა, განათლება, ავტორიტეტი და ხასიათი აქცევს მას იმ ფიგურად, როგორადაც დღესაც არის შემორჩენილი ადამიანების კომუნიკაციურ მეხსიერებაში.

5. კაცი, რომელიც გაცრეცილი შინელით დაასაფლავეს

სტალინის პიროვნების აღქმასთან დაკავშირებული დომინანტური ნარატივი, რასაც G2 და G3 თაობის წარმომადგენელი ხაზგასმით აღნიშნავენ, მით უფრო სტალინისტები, დაკავშირებულია მის უინტერესობაზე პირადი სარგებლის მიმართ. ის ზრუნავდა ერზე და არა საკუთარ თავზე, ჯიბეზე თუ პირად მოგებაზე.

იკვეთება საერთო ნარატივი - „იმხელა კაცი დაშტამპული შინელით დამარხეს“ - რომლის შემადგენელი ნაწილიც სტალინის არამატერიალიზებული ხასიათია. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მის ხელში იყო, არასოდეს ჰქონია ვნება გამდიდრებულიყო. პირიქით, ისე მოკვდა, რომ ორი გამოსაცვლელი ტანსაცმლის და ერთი კიტელის მეტი არაფერი დარჩენია: *„მანეთი არ დარჩენია, ძველი შუბით და ჩექმებით მოკვდა კაცი“* - (ინტერვიუ ბათუმის მცხოვრებთან, კაცი, 58 წლის. 15/05/2023). უფრო მეტიც, ამბავსაც იხსენებენ: *“ამხანაგმა წერილი მისწერა, ფული გამომიგზავნე სახლი მაქვს გადასახურიო, სტალინმა ხელფასს ავიღებ და მერე გამოგიგზავნიო”*- (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 51 წლის. 08/05/2023).

წარსულის და აწმყოს შედარება სტალინელებისთვის ერთგვარია არგუმენტია, მისი ფიგურისთვის ლეგიტიმიზაციის შესაძენად. მაშინ როცა, ის მხოლოდ ხელფასზე ცხოვრობა, დღეს „ყველა კორუმპირებული ნაჩალნიკია“, რომლებიც საკუთარი თავის, მოგების გარდა არაფერზე ფიქრობენ, ახალ თანამდებობაზე მოსვლისას სკამებსაც კი ცვლიან, ძველი მმართველის რად მჭირდებაო. მოხელეების ერთადერთი ინტერესი ხალხის მოტყუება და არჩევნების გზით ხელისულფებაში მოსვლაა, სხვა არც არაფერი: *„სტალინი კიდე ხელფასით ცხოვრობდა, ზედმეტი კაპიკი არ აუღია”* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 63 წლის. 08/05/2023). *“44 მილიარდელია მარტო დღეს პარლამენტში. იმხელა კაცი კიდე ხელფასის აღებას ელოდებოდა ხალხს რომ დახმარებოდა”*- (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 51 წლის. 08/05/2023).

აღნიშნული ნარატივის ხაზგასმაა პრინციპულობა და პოლიტიკური კეთილსინდისიერება, როგორც იდეოლოგიის, ისე ხალხისა და ღირებულებების მიმართ. სტალინელებს ერთადერთ პოლიტიკოსად ესახებათ, ვინც პირწმინდად დაიცვა პარტიის წესდება და ის

გააკეთა, რაც ხალხს დაჰპირდა. ადამიანი, რომლის ცხოვრებაც რამდენიმე ნივთით შეფასდა და თავისი იდეით იცხოვრა. განსხვავებით თანამედროვე საქართველოს ყოფისგან, სადაც საშინელი კორუფცია ხრავს მთელ სისტემას, ის ხალხის ქონებას გაუფრთხილდა და არავის არაფერი მოაპარვინა, ვინც ამას შეეცადა სასტიკად დასაჯა.

6. ჰუმანური ფიგურის მესიანური ხასიათი

ქართველ სტალინელებში ვხვდებით სტალინის პიროვნების აღწერის ორ განსაკუთრებულ მახასიათებელს - 1. მის ჰუმანიზმს და 2. სტალინს, როგორც ღმერთისგან გამოგზავნილ ადამიანს. იგი ჰუმანური პერსონაა, რომლის მიზანიც კეთილდღეობის დამყარება, ღვთის მსახურება და საყოველთაო მშვიდობა იყო. მისი ჰუმანურობის და სოციალისტური იდეოლოგიის წინაშე ჩადენილი ღვაწლის გამო ისახება მისი პიროვნების მესიანისტური ბუნება, როგორც ღმერთკაცი.

> *„პიროვნება მე შემიძლია იესო ქრისტესა და მუჰამედის გვერდით მოვიხსენიო, კაცობირობას არ ჰყოლია ასეთი დიდი ასეთი ბუმბერაზი პიროვნება, რომელიც ყველა სფეროში ერკვეოდა“ - თამაზი, 70 წლის, ქ. ბათუმი*

> *„ჩემთვის განუმეორებელი ფიგურა არის. რომ შეიძლებოდეს სიცოცხლე მივცე, ის გაცოცხლდებოდეს ერთი თვალს არ დავამხამხამებ. სტალინის ფასი და სადარი მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არავის ღირსებია“ - ნაზი, 81 წლის, ქ. გორი*

ნაზის, ქალაქ გორში, საკუთარ სახლში, რომლის ფასადზეც სტალინის მონუმენტია ჩაშენებული, ერთ ოთახიანი მუზეუმი აქვს, სადაც მის შესახებ ექსპონატებს აგროვებს - აქ შეხვდებით წიგნებს, ბიუსტებს, ჩანთებს, დოკუმენტებს, ხატებს, კალმებს, დროშებს, პორტრეტებსა და სხვა ნივთებს - სტალინის გამოსახულებით. მუზეუმის შექმნის იდეა მას გორში სტალინის ძეგლის აღების შემდეგ გაუჩნდა, როცა იგრძნო რომ რაღაცას კარგავდა, ქვეყანას ისტორიას ართმევდნენ, ამიტომაც დაიწყო მსგავსი სიმბოლური ნივთების შეგროვება და მთელი ერთი ოთახი მას დაუთმო.

ნაზისთვის სტალინი ღმერთის რჩეული კაცია, ყოველივე კარგის სიმბოლო, ისეთი, როგორიც ჯერ არ დაბადებულა, არც დაიბადება და მსოფლიოში ანალოგიც არ ეყოლება. ის გარკვეულწილად გათანაბრებულია წმინდანთან. „სტალინის ოთახში“ ნაზის ხატების კუთხეც აქვს. ერთ კედელზე ჰკიდია ხატები, წმინდანთა გამოსახულებები, ჯვარი და იქვეა სტალინის ფოტოები, ახალგაზრდობიდან სიბერემდე. ფოტოების წინ კი შევხვდებით სააღდგომო, წითლად შეღებილ კვერცხს, რომელიც აღდგომიდან აღდგომამდე სანთელთან ერთად შეუცვლელად დევს. ამას ნაზი სტალინის ღმერთის რწმენით ხსნის. მას ორი სასულიერო გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და გულის სიღრმეში ღმერთისაც სწამდა, არ გამოხატავდა, თუმცა სხვაგვარად არც შეეძლო, ისე იმ ქვეყანას ვერ ააშენებდაო. ამიტომაც, ნაზის ერთადერთი ოცნება აქვს, სტალინი ცოტა ხანს მაინც გაცოცხლდეს, რათა მას მიეცეს მის პერიოდში ცხოვრების საშუალება. დანანებით აღნიშნავს - *„არ უნდა მომკვდარიყო, მათუსალასავით უნდა ეცხოვრა 969 წლით“.*

სტალინის წმინდა ბუნებას ეთერიც იზიარებს. მისთვის იგი უდიდესი პოტენციალის მქონე ღმერთთან მიახლოებული ადამიანია, რომელიც ცხოვრობდა იესო ქრისტეს ცხოვრების წესით. ყველაზე სრულყოფილი ადამიანი, რომელმაც თავისი გონებრივი შესაძლებლობები გამოიყენა სწორედ სტალინია; ყველაზე დიდი მართლმადიდებელი, რომლის გონებასა და სულში ნათელი იყო გარდამოსული. სხვაგვარად ის ქვეყანას ვერ მართავდა და ვერ დაწერდა თავის თბილ და გენიალურ ლექსსო - „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი....“.

აჭარის სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საზოგადოება მის სიწმინდეს სიტყვა „ჰუმანურობით“ ცვლის, როგორც მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური ადამიანი, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობისკენ მიიწევდა და შექმნა კიდევაც ჰუმანური საზოგადოება. ამაზე საუბრობს თემურ ფიფიაც (ინტერვიუ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარესთან. 01/05/2023) და თეიმურაზ სამნიძეც (ინტერვიუ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური კომიტეტისა და სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საზოგადოების თავმდჯოამრესთან. 15/05/2023).

7. “Он был прав” - ჰუმანიზმის ამბივალენტობა

თუ მივყვებით იმ აზრს, რომ სტალინი მართლაც ჰუმანური ადამიანი იყო, რომლის ცხოვრებასაც მესიანისტური ხასიათი ჰქონდა და ღვთის დასხმული პიროვნებაა, ჩნდება შეკითხვა, როგორ შეიძლება აიხსნას იმ პერიოდის დროინდელი რეპრესიები? საინტერესოა, დახვრეტა, გადასახლება ჰუმანური პოლიტიკის ნაწილი იყო თუ სტალინისგან დამოუკიდებლად ხდებოდა?

აღნიშნული შეკითხვა ყველა რესპონდენტს დავუსვი. პასუხი უმეტესად კი ასეთი იყო, მათ შორის რეპრესირებული ადამიანების ოჯახის წევრთა მხრიდანაც - “Он был прав” (ის მართალი იყო).

ნაზი ამბობს, რომ რეპრესიები არ მომხდარა, ყოველივე დადგმული იყო. ის დოკუმენტებს იშველიებს, რომელშიც წერია, რომ სტალინი აუქმებდა ბერიას მიერ ხელმოწერილ დახვრეტის აქტებს. ის ასე ვერც მოიქცეოდა, რადგან მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ 60 მილიონი ადამიანი რომ მოეკლა, ვინღა დარჩებოდა?

ალვანელები ამბობდნენ, რომ ამის შესახებ სტალინმა არც იცოდა. ბოროტად იყენებდნენ მის ბრძანებულებას და ვინც არ მოსწონდათ იმათ უსწორდებოდნენ:

> *„სტალინი თავკაცი იყო, მაგრამ ისევ ადგილობრივები და ვიღაც-ვიღაცები აკულაკებდნენ. შეიძლება, ერთი კაცი იყო გასაკულაკებელი, მაგრამ 10 კაცს სჯიდნენ. ჩამოწერდნენ ხოლმე, ეს ცუდი კაცია, ეს ცუდიო“ - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023).*

ზოგი ამ სისასტიკეს და რეპრესიებს დროის კონტექსტიდან გამომდინარე ხსნის. სტალინი სრულებით ჰუმანური პიროვნება იყო და სისასტიკე არა სუბიექტური, არამედ დროის მიერ მოტანილი იყო - ერთგვარი ქარტეხილების პერიოდი, რომელიც საჭიროებდა მსხვერპლშეწირვას, რადგან ახალი საზოგადოება იბადებოდა.

ნაწილი იმასაც ამბობს, რომ საჭირო იყო და ყველამ დაიმსახურა. სხვაგვარად იმხელა ქვეყანა ვერ იმართებოდა, მით უფრო მეორე მსოფლიო ომსაც ვერ მოიგებდა: *„სტალინმა იმდენი გადაასახლა, რამდენიც საჭირო იყო“* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 66 წლის. 08/05/2023); *„ისევ დისციპლინის გულისთვის დახოცა ხალხი“* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 62 წლის. 08/05/2023).

განსაკუთრებით გასაკვირი და საინტერესოა რეპრესირებული ოჯახის წევრების დამოკიდებულება. როგორც სტალინის სახლ-მუზეუმის მოპირდაპირედ მჯდომი, 96 წლის მამაკაცი, ჩემთან საუბარში ამბობს, მისი სრულიად უდანაშაულო მამა 1937-ში დაიჭირეს, 1938-ში კი დახვრიტეს. მიუხედავად ამისა, მისთვის მაინც საპატიო ფიგურაა სტალინი, რომელმაც ეკონომიკა განავითარა და მეორე მსოფლიო ომში გაიმარჯვა. ის ამ ამბავს დამსმენლებს, ბოროტ ხმებს უფრო აბრალებს, ვიდრე უშუალოდ განმახორციელებელს.

„პლენში იყო“ ლირის (75 წლის, ზემო ალვანი) მამაც, რომელიც ჩამოსვლისას დაიჭირეს. მიუხედავად ამისა, არც ის და არც მამამისი „სტალინს არ აძაგებდნენ“. პირიქით, დღემდე, ის ყოველი სუფრისას მის სადღეგრძელოს სვამს.

აჭარაში ეგეთი ხუმრობაც აქვთ - სტალინი ჩემთვის კარგი პიროვნება იყო, ყაზახისტანში გადამასახლა, კაი იყო, ქვეყანა მანახაო. ამას მართლაც ამბობს ბათუმის ბაზარში მყოფი ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც ოჯახთან ერთად 1944 წელს 12 წლით შუა აზიაში გადაასახლეს, რადგან მეზობელმა ჩაუშვა წინაპრები თურქეთიდან ჰყავდაო. მიუხედავად იმისა, რომ მამა 3 წელი ფრონტზე იბრძოდა, დაიჭრა და სახლში ისე დაბრუნდა.

ამიტომაც, „ის მართალი იყოს“ ნარატივი, მიუხედავად ყოველგვარი სტატისტიკური მონაცემებისა და ისტორიული ცნობებისა, საზოგადოებაში მაინც მუსირებს. რომ შევაჯამოთ - “გენერალ სიმუსი”, „ბუმბერაზი კაცი“, “საამაყო ქართველი”, “საუკეთესო ქართველი”, “დიდი ბელადი”, “ქართველი ბელადი”, “ერის მამა”, “პაპაჩემი სტალინი”, “ხალხის პატივისმცემელი”, “ჰუმანური, ღვთის მოშიში ადამიანი”, “იესო ქრისტესა და მუჰამედის ტოლფასი”, “დიდი მასწავლებელი” - ის ეპითეტებია, რომლებითაც გამოკითხული ადამიანები სტალინს ახასიათებენ.

თავი III - სტალინის აღქმაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები

III თავში საველე სამუშაოზე შეგროვილ მონაცემებზე დაყრდნობით, სტალინის პიროვნების აღქმაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორებია რეპრეზენტირებული, რათა აიხსნას, თუ რა განაპირობებს მეორე თავში გაანალიზებულ დამოკიდებულებას სამი თაობისა და სტალინისტების მხრიდან. ვინ იყვნენ მახსოვრობის აგენტები და რამ ჩამოუყალიბათ მსგავსი ტიპის მახსოვრობა ადამიანებს მისი ფიგურის მიმართ.

ინდივიდის მეხსიერება სოციალური ჯგუფის შიგნით ყალიბდება მათთან ინტერაქციით. იგი ერთგვარი სოციალიზაციის შედეგია, რომელიც ადამიანების კომუნიკაციურ მეხსიერებაში იღებს სათავეს - ოჯახში, სამეგობროში, სკოლაში, უნივერსიტეტსა თუ პრესაში, საუბრისას და ხუმრობების მოყოლისას (Halbwachs, 1992; Assmann, 1995). აღქმაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ყოველდღიური ცხოვრება. ჩვენს ირგვლივ არსებული მეხსიერების ადგილები, რომლებშიც ადამიანებმა განასხეულეს გარკვეული ცნობიერება, მიანიჭეს სიმბოლური დატვირთვა, მოახდინეს მისი ინსტიტუციონალიზაცია, შემდეგ კი გაყოველდღიურება (Nora, 1992). ამიტომაც, საქართველოში სტალინის აღქმაზე ზემოქმედება შემდგომ ფაქტორებზე დაიყვანება - მისი ფიგურა, როგორც მეხსიერების ადგილი, მონუმენტებთან და მოგონებებთან ერთად; დომინანტურია ოჯახის როლი, მით უფრო მაშინ, თუ ერთ-ერთი წევრი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანია; განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევაა ქართული სუფრა, როგორც მეხსიერების არტიკულაციის ფენომენი, სადაც ხდება წარსულის გახსენება, გადააზრება და მისი ეროვნულ იდენტობასთან შერწყმა.

3.1 სტალინი, როგორც მეხსიერების ადგილი

გამოკითხული G3 ადამიანებისთვის სტალინი მახსოვრობაში მეხსიერების ადგილებიდან შემოდის. პორტრეტები, ბიუსტები, მონუმენტები, ფილმები ის არეებია, რომელთა ხილვამაც მის ფიგურას დაუდო სათავე აღნიშნული თაობის მახსოვრობაში.

სტალინის ბიუსტი იყო პირველი რამ, რასაც ალვანელი ბავშვი ბაღში მისვლისთანავე ხედავდა. ამიტომაც, ბევრი მათგანისთვის სწორედ აღნიშნული არეს დახმარებით შემოდის მისი პიროვნება მეხსიერებაში, თანაც დადებით კონტექსტში, რადგან მის პიროვნებას ბაღში ყველა აქებდა - „გენერალ სიმუსი“, „ფაშისტური გერმანიის გამანადგურებელი“, ის ფრაზებია, რომლებითაც პასუხობდნენ შეკითხვაზე - ვინაა და ვისი ძეგლია? მაშ გამოდის, რომ სტალინის ბიუსტთან ერთად უწევდათ სოციალიზაცია იმდროინდელ ბავშვებს, რადგან მონუმენტი შესასვლელშივე იდგა.

გორში იხსენებენ სტალინის მოედანზე აღმართულ ძეგლს, რომლის ხილვაც სკოლაში მიმავალთ უწევდათ: *„მე კარენოი გორელი ვარ, სკოლაში რომ წავსულიყავი სტალინის მოედანი უნდა გამევლო, სადაც ძეგლს დგამდნენ, მეორე კლასში ვიყავი მაშინ. იქ რომ ჩავივლიდი, აი ასეთი ჭუჭრუტანიდან ვუცქეროდი როგორ კეთდებოდა ძეგლი და იქიდან მახსოვს სტალინი“* - (ინტერვიუ გორის მცხოვრებთან, ქალი, 81 წლის. 19/06/2023). *„როგორც წამოვიჩიტე, ეს იყო მესამე მეოთხე კლასში დავდიოდი, აი აქ ჩამოიტანეს და იმ დროიდან მახსოვს სტალინის ძეგლი, მისი ფიგურა. მერე კინოებშიც”* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023).

მახსოვრობაზე ზეგავლენის მომხდენ ფაქტორად გამოიკვეთა ფოტოებიც, რომლებიც მძღოლებს მანქანაში ჰქონდათ გამოკრული, ანდა საქარე მინაზე ედგათ. ამას ერთოდა აღნიშნული სურათის მიმართ გარკვეული პატივისცემაც, რომელიც ახალგაზრდების დამოკიდებულებებშიც აისახებოდა: *“მახსოვს საბჭოთა მანქანები საქარე მინებზე ძალიან ხშირად სტალინის ფოტოები იყო. გამოსახული ჰქონდათ მძღოლებს”* - (ინტერვიუ საქართველოს კომუნისტური პარტიის თავმჯდომარესთან. 01/05/2023); როგორც ჩანს, სწორედ სტალინის მონუმენტებთან ერთად უხდებოდათ სოციალიზაცია G3 წარმომადგენლებს ბავშვობაში. ამას ერთვის ოჯახებში მსგავსი ტიპის მეხსიერების ადგილების არსებობა, ალვანში, აჭარასა და მით უფრო გორში ადამიანები დღესაც ინახავენ სტალინის ბიუსტებს, პორტრეტებს, ფოტოებს, მედალიონებს, რომლებსაც საპატიო ადგილიც უჭირავთ სახლებში: *„სახლში ახლაც მიდგას სტალინის დიდი პორტრეტი,*

რომელესაც ჩემი შვილიშვილები „ბაბუა სტალინს ეძახიან“ - ჩვენი ოჯახის წევრივითაა. თავიდანვე ვასწავლი პატივისცემას“ – (ინტერვიუ ბათუმის მცხოვრებთან, კაცი, 70 წლის. 15/05/2023).

აღნიშნული ფოტოებითა და ბიუსტებით ადამიანები გარკვეულ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავენ მისი პიროვნების მიმართ, ამიტომაც საპატიო ადგილასაც დებენ: *„ფოტო მაქვს, მაშ. მიყვარს ეგ კაცი და მაგიტო მაქვს მისი ფოტო. ძალიანა მწყინს რო ვიღაცამ რაღაცა ის თქვას”* – (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 82 წლის. 07/05/2023). *„მე ბიუსტი მაქვს სახლში. ახლა ერთი ოთახი უნდა მოვაწყო ნახატებისთვის, სადაც საპატიო ადგილას დავდგამ”* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 56 წლის. 08/05/2023).

მეხსიერების ადგილს წარმოადგენს სტალინის მუზეუმი, რომელშიც სხვადასხვა ექსპონატია თავმოყრილი ბავშვობიდან-გარდაცვალებამდე. მისი სახლი, სადაც დაიბადა და მონუმენტი მუზეუმის წინ. ეს სივრცე ერთგვარი თავშეყრის ადგილია სტალინელების, სადაც ხვდებიან ერთმანეთს და ცვლიან აზრებს.

სწორედ ამ ადგილას ჩადიან 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს, სტალინელები მთელი საქართველოდან და პატივს მიაგებენ მის ხსოვნას. იდენტურად ხდება 5 მარტსაც, მის გარდაცვალების დღეს. აღნიშნული ორი თარიღი ჩამოყალიბდამეხსიერების არედ, რომელსაც სტალინელები სხვადასხვა გზით ზეიმობენ - გორელი და აჭარელი სტალინელები სახლ-მუზეუმთან იკრიბებიან, ახმეტელები კი ზემო ალვანში, სტალინის მონუმენტის მიმდებარედ: *“დაბადების დღეზე, 21 დეკემბერს, თუ რამე ყვავილია ხოლმე, ვალამაზებთ ხოლმე სტენდს, რომ გამვლელ-გამომვლელმა შეხედოს და გაახსენდეს, რომ 21 დეკემბერია და სტალინის დაბადების დღეა“*- (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023).

თუმცა, ადგილზე შეკრებას რამდენიმე ტიპის დატვირთვა აქვს - 1. პატივისცემის. 2. სოციალისტური სისტემის შემოქმედის გახსენების, რათა მას იდეოლოგიური ელფერი შესძინონ. 3. გაიხსენონ მსოფლიოში ყველაზე დიდებული ქართველი, პატივი მიაგონ მის

ხსოვნას 4. მადლობა გადაუხადონ II მსოფლიო ომში გამარჯვებისთვის, ქართველობის შენარჩუნებისთვის და 5. ლოკალურ დონეზე, გორელებმა აღნიშნონ თავიანთი ქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურის დაბადების დღე, რომელიც საამაყო და ძვირფასია. ამას მოწმობს ქალაქის ცენტრალური მოედნისა და მთავარი ქუჩის სახელი - სტალინის გამზირი.

სტალინისტები ცდილობენ 21 დეკემბერი აქტიურად აღნიშნონ, ყვავილები მიიტანონ გორში მდებარე სახლთან და ადგილზე სიტყვით გამოვიდნენ. ამ გზით ისინი ცდილობენ აქტუალობა შესძინონ მის ფიგურას, მადლობა გადაუხადონ გაწეული საქმიანობისთვის და გაიხსნენონ მისი პიროვნება.

გაორებული დამოკიდებულებაა 5 მარტთან დაკავშირებით. ზოგი ამ თარიღს, გარდაცვალების, "მოწამვლის დღეს" არ აღნიშნავს, ზოგი კიდე შორი მანძილიდან ადგილზე ჩადის. პირობითად, ალვანში ამ დღეს არაფერი ხდება, გორში კიდევ პირიქით, მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია მთელი საქართველოდან სტალინელებს მასპინძლობს: *"გარდაცვალების დღეს არაფერს ვაკეთებთ, ისევ ცოცხალია, „ჩვენს გულებში ცოცხლობს"* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023). ვხვდებით საპირისპირო მოსაზრებასაც: *„რომ სთვლი წლებს გამოდის ეთანხმები გარდაცვალებას, კაი მომენტი იყო და იმის მერე ამდენი წელი გავიდაო. შეიძლება ხსოვნის დღე იყოს, მაგრამ გარდაცვალების დღის აღნიშვნა ჩემთვისაც მიუღებელია"* - (ინტერვიუ ქვემო ალვანის მცხოვრებთან, ქალი, 63 წლის. 09/05/2023).

სიმბოლური დატვირთვის მქონე მეხსიერების ადგილსა და აღნიშვნის ელემენტს წარმოადგენს 9 მაისიც, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე, რომელიც სტალინსა და მის მეომრებს ეძღვნება. 2023 წლის 9 მაისი ახმეტაში გავატარე. 8 მაისს ზემო ალვანელებმა მემორიალის ეზოს მოსუფთავება დაიწყეს, შეამზადეს მეორე დღისთვის. 9 მაისს, დილის 11 საათზე, სოფლის წარმომადგენლებმა სტალინის ძეგლი და მეომართა მემორიალი ყვავილებით შეამკეს. ახმეტაში მერიის მიერ ორგანიზებული კონცერტი გაიმართა "უცნობი მეომრის საფლავზე", რომელშიც ახალგაზრდა სამუსიკო და ქორეოგრაფიული ჯგუფები

მონაწილეობდნენ. მერმა ჯილდო გადასცა დიმიტრი ვეშაგურიძეს, ახმეტაში ცოცხლად მყოფ ერთადერთ 101 წლის ომის ვეტერანს.

3.1.1 ხან ზევით, ხან ქვევით - სტალინის ძეგლი, დაპირისპირების ადგილი

სტალინელებისთვის (და არა მხოლოდ) აქტიური განხილვის საგანი სტალინის ძეგლების არსებობაა საქართველოს რეგიონებში. ისინი აღნიშნავენ არსებული მონუმენტების მნიშვნელობას, რითაც პატივისცემას გამოხატავენ ყველაზე დიდი ქართველის მიმართ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში გაიმარჯვა და საქართველოს სახელი მსოფლიო ასპარეზზე წარმოაჩინა.

სტალინის ძეგლი არაერთხელ ყოფილა დაპირისპირების საგანი - დღესაც. კი მართალია მის ძეგლს ბევრგან შევხვდებით (საველე სამუშაოზე ყოფნისას პირადად ვნახე) - ზემო ალვანში, გორში (მუზეუმთან, რკინიგზის სადგურზე, გორის უნივერსიტეტთან).

ალვანში ერთგვარი დაპირისპირებაა საზოგადოების ორ ჯგუფს შორის - პირველი, ვინც თვლის, რომ სტალინი დიქტატორია და მისი ძეგლის არსებობა კატეგორიულად დაუშვებელია: *"ამდენიღაცა წლებს და ჩვენი დღევანდელი მთავრობა ეგუება აი ამ საშინელებას. დიქტატორს. მხატვრული ნიმუშია? ძეგლზე ვამბობ, რა თქმა უნდა, არ უნდა იდგეს. ზოგი დამიწყებს ისტორიულია, ისტორიული კიარა იდეოლოგიურია"* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 68 წლის. 06/05/2023).

მეორენი ვინც მონუმენტის დგომას ტრადიციითა და ეროვნული გრძნობებით ამართლებს. იგი ისტორიის ნაწილია, ძეგლებთან ბრძოლა კიდე ისტორიასთან ბრძოლას ნიშნავს, რაც დაუშვებელია. ამასთან, მონუმენტი წინაპრების ხსოვნას ინახავს, რომლის პატივისცემაც მნიშვნელოვანია, რადგან - *"წინაპრებს თუ პატივი არ ეცი, მომავალს ვერ სცემ პატივს, არც არავინ გცემს პატივს"* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 60 წლის. 09/05/2023).

ალვანში სტალინის ფიგურა პატერნალიზმის ნაწილია, შვილების თაობა თავს ვალდებულად თვლის პატივი სცეს მამების დანატოვარს, ამიტომაც ამბობენ: "სანამ ეს

ძეგლია თავს შევაკლავთ. და სანამ ვართ" - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023).

როდესაც მის აღებას საფრთხე დაემუქრა, როგორც ჩემთან საუბარში ამბობს, ეთერმა მარტო ზემო ალვანში 1000 ხელმოწერა შეაგროვა ახმეტის საკრებულოში წარსადგენად, რითაც შეაჩერა მის დემონტაჟთან დაკავშირებით გადაწყვეტილება (ინტერვიუ ქვემო ალვანის მცხოვრებთან, ქალი, 63 წლის. 08/05/2023).

საგულისხმოა ძეგლის ესთეტიკური და სიმბოლური დატვირთვა. იგი ერთგვარი თავშეყრის ადგილია, სიმბოლური გარემო, სადაც ხდება აზრების გაცვლა, გარდაცვლილი თანასოფლელის უკანასკნელ გზაზე გაცილება თუ მისი ტრადიციის ნაწილად ქცევა. ამას ერთვის ძეგლის კომერციალიზაციაც, რასაც ალვანშიც და გორშიც ვაწყდებით. სტალინის მუზეუმს საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მეტი ვიზიტორი სტუმრობს, რაც ქალაქს ტურისტული ნაკადებისთვის ხელმისაწვდომს ხდის (Droa.ge, 2019). ალვანში, როგორც ადგილობრივები ამბობენ, ძეგლი სავიზიტო ბარათად არის ქცეული, ტურისტები აჩერებენ და ცენტრში არსებულ მაღაზიაში კოლოსალურ თანხას ხარჯავენ:

> *"ჭირია-ლხინია რომ ვიკრიბებით იქა, ბირჟაა. ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია სოფლისა. რამდენიმეჯერ მარშუტკები მოდიოდნენ, რომ დაინახეს სტალინის ძეგლი, გაცდენილები, იქედან ტორმუზით გააჩერეს, უკან დასწიეს, ორი საათი გაჩერდნენ და შევიდნენ ჩვენს მაღაზიაში. შევედი მერე ვიკითხე და თითო მაღაზიაში 150-200 ლარები დატოვეს იმათ და მერე გამოვიდნენ სურათები გადაიღეს და წავიდნენ" - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 55 წლის. 08/05/2023).*

> *"სტალინის ძეგლი უნდა იდგეს კაცო, მაშ, ლამაზია" - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, ქალი, 83 წლის. 06/05/2023).*

ამიტომაც, ახმეტაში (ზემო-ქვემო ალვანში), ბათუმსა და გორში მოსახლეობის დიდი ნაწილი თანხმდება, რომ სტალინის ძეგლი უნდა იდგეს, რადგან ის ისტორიის ნაწილია და

არაფერს აშავებს, მათ შორის G1 თაობის წარმომადგენლებიც: *“მე უმეტესად მომწონს მისი ფიგურა, მისი ძეგლიც უნდა იდგეს, არც არაფერს აშავებს“* – (ინტერვიუ ქვემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 16 წლის. 10/05/2023).

სტალინის დადებითი პიროვნების ფიგურიდან გამომდინარე ძეგლების არსებობის აუცილებლობას ხედავენ G3 წარმომადგენლები და სტალინელები, რადგან ამ გზით მოხდება მისი ფიგურის დაფასება, აქტუალიზება და მისი გმირული საქმეების ხაზგასმა. გამომდინარე იქიდან რომ სტალინი თავადვე ხალხზე თავდაუზოგავი შრომის, განათლების, ცოდნის და სოციალისტური წესწყობილების სიმბოლოა, მის შესახებ ძეგლების, ფილმების, კვლევებისა და ლიტერატურის არსებობა საჭიროა, რათა მისი როლი არ დაიკარგოს ისტორიაში.

ძეგლის, როგორც მეხსიერების არტიკულაციის საშუალებაზე საუბრობს ერთ-ერთი რესპონდენტიც, რომლის ხედვითაც მისი აღმართვა-დამართვით არც დახვრეტილები გაცოცხლდებიან და არც არაფერი დააკლდებათ, პირიქით, ახალგაზრდა თაობისთვის იქნება უცხო კონკრეტული ფიგურა. ამიტომაც, ძეგლის დგომა პრობლემას არ წარმოადგენს, პირიქით, იგი ზემო ალვანის მონუმენტს ჭადრაკის დაფასაც ადარებს, სადაც გამოსახულია მეფე - სტალინი და მისი პაიკები - მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მეომრები.

> *“მომავალი თაობისთვის არის ისტორია. პაპის სურათი რომ ითხოვოს შვილიშვილმა, არ უნდა იცოდეს? ან ბებიის. ავიღოთ სტალინის ძეგლზეც იგივე. დავმარხოთ, რა შეიცვლება მაგით? დახვრეტილები ისევ დახვრეტილებად დარჩებიან, ის რეპრესიები ისევ რეპრესიებად არიან და არაფერი. მარტო ის, რომ სტალინის ძეგლი აღარ იქნება და იტყვიან, აი, იმის დროს მე ვიყავი ძეგლი რომ აიღეს და ამისთვის უნდათ მხოლოდ. ნუ, თუშებს არ უშლის ხელს, არც ღამე იგინება” - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 09/05/2023).*

3.2 ოჯახის ზეგავლენა მახსოვრობაზე

როგორც მორის ჰალვბაქსი ამბობდა ნებისმიერი ინდივიდი ჯგუფური მეხსიერების, კოლექტივის, ოჯახისა და საზოგადოების ნაწილია, რომლებთან მიმართების შედეგადაც აღიქმება მეხსიერება (Halbwachs, 1992). სწორედ ოჯახია სოციალიზაციის მთავარი აგენტი, რომელიც ახდენს პირველ და გარდამტეხ ზეგავლენას ინდივიდის ღირებულებების ჩამოყალიბებაზე (მაგშტადტი, 2010). როგორც გამოვლენილმა ტენდენციებმა აჩვენეს ოჯახი მეხსიერების გადამტანი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, სწორედ ოჯახიდან, წევრთა საუბრებიდან შემოდის სტალინის ფიგურა ადამიანების მეხსიერებაში, მით უფრო სტალინისტების, რომლებსაც თავიანთი ისტორიები აქვთ ამ კუთხით.

G1, G2 და G3 თაობის წარმომადგენლები ერთხმად აღიარებენ, რომ პირველად საუბარი სტალინზე სწორედ ოჯახში მოისმინეს. ოჯახი იყო სოციალიზაციის მთავარი აგენტი, რომელმაც მათ გონებაში შემოიყვანა სტალინის ფიგურა - დადებით ან უარყოფით კონტექსტში. ოჯახთან ერთად მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს ნათესავებმა, მეზობლებმა, მეგობრებმა, იმ ახლო წრემ, რომლებთანაც ერთად მათ უწევდათ სოციალიზაცია: *"ოჯახიდანაც და სკოლიდანაც, წიგნებიდანაც და ფილმებიდანაც, მამაჩემისგანაც. დადებითი პიროვნება იყო ჩემთვის, ერთი 10 საქართველოში მასეთი რომ დაიბადოს ძალიან კარგი იქნება"* - (ინტერვიუ ახმეტის მცხოვრებთან, ქალი, 49 წლის. 08/05/2023).

მნიშვნელოვანია ოჯახები, რომელთა წევრებმაც სამამულო ომი გამოიარეს. მათთვის მახსოვრობა სტალინის მიმართ განსხვავებულ კონტექსტში აღიქმება. მიუხედავად იმისა, იქიდან ცოცხლები დაბრუნდნენ, ტყვედ ჩავარდნის გამო სადმე გადაასახლეს თუ არა, ყველა შემთხვევაში სტალინის გმირული სახე გვეგებება.

სტალინისტებისა და G3 თაობის ნაწილი სწორედ მეორე მსოფლიო ომის დროს დაიბადა, ამიტომაც მათი დაბადებისას ოჯახის წევრები ომში იყვნენ, მათ მახსოვრობაში სტალინის ფიგურა პატარაობიდანვეა ჩაბეჭდილი, რადგან მამაც სცემდა პატივს და აფასებდა, როგორც მთავარსარდალს, იდენტურად ხდებოდა შვილების შემთხვევაშიც: *"ინფორმაცია*

ოჯახში იყო, მამა ომის ვეტერანი მყავდა და იქედან გვიყვებოდა ჩვენ ყველაფერს ბავშვობაში, თუ რას წარმოადგენდა, რა პიროვნება იყო. გენიალური პიროვნება იყო" - (ინტერვიუ ახმეტის მცხოვრებთან, ქალი, 70 წლის. 08/05/2023).

საინტერესოა ფიგურის მოწონება გვარის ან გარეგნობის მიმსგავსების გამო. ახმეტის რაიონში შევხვდებით გვარს - "ჯუგაშვილი", რაც რუსულად თარგმნისას "ჯუღაშვილად" მოგვესმინება, ამიტომაც, როგორც რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, აღნიშნული დამთხვევის გამო ბევრი ამაყობს, რადგან სტალინს წინაპრად მიიჩნევენ:

> *"მე მაგალითად მეუღლე მყავს ჯუგაშვილი, ამბობენ რომ ჩვენი წინაპარი ახმეტიდან იყო სადღაც გორში წასული, მატნიდან, მატნელი ვარ მე. ჩემი ოჯახიდან იყო წასული გორში საცხოვრებლად იმათი წინაპარი და ესე მიყვარს. ჩემი შვილები ჯუგაშვილები არიან, ჩემი ქმარი ძალიან ჰგავდა, 23 წელია დამეღუპა და ჯარში სტალინი სტალინი სულ ეგრე მარტყამდნენ ხელსო. რა ვიცი შვილო, მე მიყვარს, ჩემ ოჯახს და ჩემ გვარს უყვარდა"* - (ინტერვიუ ახმეტის მცხოვრებთან, ქალი, 65 წლის. 08/05/2023).

სტალინელებისთვის მისი ფიგურის არტიკულაცია მეხსიერებაში ტრაგიკული კონტექსტით იწყება, დრამატული სურათით ოჯახის წევრთა მიმართ, რაც ბავშვისთვის ტრავმატულ გარემოებას ქმნის და მოვლენას მძაფრად აღაქმევინებს. გრიშა ონიანის თქმით, მის მეხსიერებაში სტალინი მაშინ შემოდის, როცა ბაბუამისმა თავიდან ქუდი მოიხადა და თოვლში გადააგდო, შემდეგ კი ტირილი დაიწყო, ეს ტრაგედიის სიმბოლო იყო სვანებისთვის, გავრცელებული ქცევა ოჯახის ახლობლის დაღუპვისას. სკოლის მოსწავლე გრიშასთვის აღნიშნული ქცევა ოჯახის ახლობლის გარდაცვალების ტოლფასი იყო, რამაც მას მძაფრად აღმაქმევინა ბელადის გარდაცვალება (ინტერვიუ საერთაშორისო საზოგადოება "სტალინის" დამფუძნებელთან. 30/05/2023).

იდენტურია ალვანის ერთ-ერთი მცხოვრების შემთხვევაც: *"მე მახსოვს ბავშვი ვიყავი და პაპა ადამი რაღაცას აკეთებდა. უცებ ტირილი მესმის კაცისგან აი ღრიალებს კაცი - სტალინი დაიღუპაო. იქედან მახსოვს სტალინი. ამას დამატებული, მამაჩემი ომის*

მონაწილე იყო, პლენში იყო სამი წელი" - (ინტერვიუ ახმეტის მცხოვრებთან, კაცი, 75 წლის. 08/05/2023).

3.3 ქართული სუფრა - მეხსიერების არტიკულაციის ფენომენი

"დიდ ქეიფებში აბიზაწელნა სტალინი სადღეგრძელო უნდა დაილიოს" - ლირი, 75 წლის, ზემო ალვანი

როგორც ჟან შარდენი ამბობს ქართველების სუფრის გარშემო მისხდომის მიზანი არა სმა-ჭამა, ღვინისა და ნუგბარის მირთმევაა, არამედ ერთგვარი რიტუალის ორგანიზებაა, რომლის მიზანიც ადამიანთა შორის კომუნიკაციური კავშირის დამყარებაა წინაპრებსა და აწმყოში მცხოვრებთა შორის. კეთილგანწყობილი ურთიერთობების გამყარება-განსამტკიცებლად, რათა გამოხატონ თავიანთი გრძნობები, სიმპათია-ანტიპათია, სიყვარული, პატივისცემა ნაცნობ-უცნობთა მიმართ. ქართული სუფრა იძლევა გულღიად ყოფნის საშუალებას, რაც ადამიანს აძლევს ფუფუნებას, მის გარშემო ისხდნენ წრფელი გრძნობებით და მიეცენ კეთილგანწყობას (კიკნაძე, 2007). მაშ გამოდის, რომ სუფრა სოციალიზაციის აგენტია, სადაც ხდება წარსულზე საუბარი, წინაპრების გახსენება და მათი აწმყოსთან გაიგივება. პიერ ნორა მეხსიერების ადგილად სუფრას და ტრადიციებსაც მიიჩნევს (Nora, 1989). ამიტომაც, როგორც საველე კვლევამ აჩვენა, განსაკუთრებით ახმეტასა და გორში სპეციალური ტერმინი არსებობს - "სტალინის ჭიქა", როცა ადამიანები, თამადის მოწოდებით ფეხზე წამოდგებიან და განსხვავებულით სვამენ მის სადღეგრძელოს, რასაც ცხადია მოჰყვება საუბრები ტოტალიტარი ლიდერის ფიგურასა და მის საქმიანობაზე.

> *"ყოველთვის, ჩვენთანა პირველი სადღეგრძელო რომ ითქმება მეორეა სტალინისა. აი მაგალითად, მე გუშინ დაკრძალვაზე ვიყავი, თამადა ვიყავი და სტალინის სადღეგრძელო დავლიე. ომის ბიჭების სადღეგრძელოში. ავაყენე ფეხზე და ისე დავალევინე. მესამე სადღეგრძელო იყო ომის მონაწილეების და სტალინის*

სადღეგრძელო” - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 75 წლის. 08/05/2023).

“სტალინის სადღეგრძელო რომ დავლიო არც მის გარეშე დავრჩე. ჩვენთან ახლაც შემორჩენილია ეს ტრადიცია. ჯარისკაცების მოგონება სტალინის თამადობით, წუხელ დავლიე, სტუმრები მყავდნენ” - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023).

გრიშა ონიანისთვის წარმოუდგენელია სუფრაზე დღესასწაულის აღნიშვნა სტალინის სადღეგრძელოს გარეშე, მით უფრო მაშინ, თუ 9 მაისი და სტალინის დაბადების დღეა (ინტერვიუ საერთაშორისო საზოგადოება "სტალინის" დამფუძნებელთან. 30/05/2023).

სადღეგრძელოს თქმის განსაკუთრებულ წესზე საუბრობს ნაზი, გორიდან, რომელიც სადღეგრძელოს სპეციალური „ჩაშკით“ სვამს და სხვებსაც ასმევს, ვინც მის მუზეუმში მივა სტუმრად. სპეციალური სიტყვაც უნდა ითქვას - „ამ კაცის ხსოვნა მოგონებაი, არდავიწყება და ამ ქალს {ნაზის} დიდხანს სიცოცხლე, რომ არ დაივიწყოს ეს კაცი“. გორელთა, ქართლში მცხოვრებთა უმეტესობისთვის, სტალინის სადღეგრძელო სუფრის შემადგენელი განუყოფელი ნაწილია (ინტერვიუ გორის მცხოვრებთან, ქალი, 81 წლის. 08/05/2023).

ანზორი კი სადღეგრძელოსაც გვიზიარებს, რომელიც მას ბავშვობიდან, VII-IX კლასიდან ახსოვს - “ქართლში გორის სადღეგრძელო მინდა დავლიო და კახეთში ზემო ალვანისაო“. რადგან საქართველოში სტალინის ძეგლს გორსა და ალვანში შეხვდებოდიო. ამიტომაც, ბავშვობიდანვე, ანზორისთვის სიამაყისა და სიხარულის საგანი იყო მისი ფიგურა.

ალვანელები 9 მაისობით ფულს კრებენ და აღნიშნავენ გამარჯვების დღეს, რომლის მთავარი შემოქმედიც იოსებ სტალინია: *“ხვალე გვაქვს ახლა 9 მასისი მომავალია. ფულსა ვკრებთ, ვლოცავთ. არა ვტოვებთ. 9 მაისი გამარჯვების დღეს აღვნიშნავთ. ფეხზე ადგომით ვსვამთ სტალინის სადღეგრძელოს“* - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 65 წლის. 08/05/2023). *“პომპეზურად და იმად არ აღვნიშნავთ. ძირითადად 9 მაისს*

ვიკრიბებით, ხინკალსა შევჭამთ და დავკრავთ” - (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 62 წლის. 08/05/2023).

მსგავსი ვითარებაა გორსა და ბათუმშიც, სტალინელები და არა მხოლოდ, ჯერ “უცნობი მეომრის საფლავთან” იკრიბებიან, ან გორში ჩადიან, სტალინის მუზეუმთან, შემდეგ კი სპეციალურ სუფრას მასპინძლობენ, სადაც აღნიშნავენ ამ დღეს. გრიშა ონიანის თქმით კი ეს სუფრა დიდ მთავარსარდალს, იოსებს სტალინსა და მის მეომრებს ეძღვნება (ინტერვიუ საერთაშორისო საზოგადოება "სტალინის" დამფუძნებელთან. 30/05/2023). ფრთებგაშლილ სტალინსა და თავის შვილებს, თავის სალდათებს, როგორც ალვანის მონუმენტზეა წარმოდგენილი (ინტერვიუ ზემო ალვანის მცხოვრებთან, კაცი, 75 წლის. 08/05/2023).

დასკვნა

როგორც მორის ჰალვბაქსი ამბობდა, მეხსიერება მუდმივად კონსტრუირებადი ფენომენია, რომელიც ადამიანთა ჯგუფებს შორის ინტერაქციის, სოციალიზაციის შედეგად ყალიბდება და იცვლება (Halbwachs, 1992). ახალი მომავლის მქონე ახალგაზრდა ერი, რომელიც საბჭოთა წარსულის გადააზრებასა და ახალი წარსულის შექმნას ცდილობს, აწმყოში მით უფრო მიდრეკილია აქტიური ცვალებადობისკენ. უფრო მეტიც, ალეიდა ასმანის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, მეხსიერება ძალზედ მოქნილი რამ არის, რომლის ცვალებადობაც მარტივად, დაუსრულებლად შეიძლება, გააჩნია რა არის აქტუალური პოლიტიკური ელიტისთვის, საზოგადოებისთვის, როგორია დაკვეთა. ამიტომაც, სტალინის გარდაცვალებიდან დღემდე ყოველი რეჟიმი მის ფიგურას საკუთარ ინტერესებზე მორგებულ ფორმას აძლევდა, რის შედეგადაც მეხსიერების არტიკულაცია მათ ქმედებებზე დაყრდნობით ხდებოდა. დროის არსებული ცვალებადი ინტერესების პარალელურად კი მისი ფორმაც იცვლებოდა (Assmann 2015). სწორედ ასეთი მოქნილი პერსონალიაა სტალინიც, რომელიც საქართველოში, მიუხედავად გარდაცვალებისა, მუდმივად არსებობს და აქტუალიზებას ჰპოვებს კომუნიკაციურ მეხსიერებაში.

კვლევის პროცესში ორი დაშვება გამოიკვეთა. პირველის მიხედვით, სტალინის სახე არაერთგვაროვნად აისახება სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მქონე ადამიანის კოლექტიურ მეხსიერებაში, რასაც განაპირობებს უფროსი თაობის ადამიანებში გარდამავალი პერიოდის „ახალი წარსულის“ საჭიროება. როგორც საქართველოს რეგიონებში ჩატარებულმა საველე კვლევამ აჩვენა, თაობებს შორის, სტალინის აღქმის კუთხით, გარკვეული განსხვავება შეინიშნება.

სამი თაობის მიგნება სტალინის პიროვნების აღქმასთან დაკავშირებულ ნიშნებთან მიმართებით:

G1 - 18-34 წელი: სტალინის პიროვნების კრიტიკული აღქმა - "დიქტატორი", "ტირანი"; ნაწილობრივ დადებითი ხედვა ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ - „უფასო

პროდუქტები“; მართალია, რაღაც გააკეთა, მაგრამ ბევრი გააფუჭა - პიროვნების საერთო სახის უარყოფითი აღქმა.

G2 – 35-54 წელი: ნოსტალგია სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ; სტალინის ქართველობა, სიამაყის საფუძველი; დაპირისპირებული ნარატივები - კარგიც გააკეთა და ცუდიც, თუმცა საერთო ჯამში დადებითი ფიგურაა. ვხვდებით ნეიტრალურ ხედვებსაც; პიროვნულ მახასიათებლებზე ხაზგასმა.

G3 – 55+ წელი: მეტა ნარატივი - სტალინი, ყოველმხრივ დადებითი ფიგურა; მძაფრი ნოსტალგია მისი პერიოდის, ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ; სტალინი, როგორც ქართული ნაციონალისტური იდენტობის სიმბოლო - „ქართველი ერის მამა“ და „დიადი ქართველი“; პიროვნებასთან დაკავშირებული მეხსიერების ადგილების არსებობა პირად სივრცეში; კვაზირელიგიურ გრძნობებზე, მესიანისტურ ბუნებასა და ჰუმანურ მახასიათებლებზე ხაზგასმა; სამაგალითო პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი, პირად მოგებაზე ორიენტაციის გარეშე.

მძაფრი ნოსტალგია G3-ში გამოვლინდა. ისინი „ახალ წარსულს“ ძველის პატივისცემის ხარჯზე ხედავენ, ეს კი აპრიორი ნიშნავს სტალინის პატივისცემას, მისი მონუმენტების პატივისცემას, რაც საბოლოო ჯამში, დადებითი ელფერს სძენს ლიდერის ფიგურას. როგორც ჰიპოთეზა ამბობდა, მართლაც, სტალინის სახე არაერთგვაროვნადაა ასახული სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მქონე ადამიანების მახსოვრობაში.

სტალინის ხსოვნის ამხსნელი მიგნებები:

მეორე დაშვების მიხედვით - საზოგადოებაში არსებული კოლექტიური ხსოვნა განსაზღვრავდა სტალინისადმი დამოკიდებულებას, განსაკუთრებით 55 წელს ზემოთ, რეგიონებში მცხოვრებ, უმაღლესი განათლების საფეხურ მიუღწეველ, დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებში. ფაქტია, რომ სამივე თაობის შემთხვევაში, საზოგადოებაში არსებული ხსოვნა განსაზღვრავდა დამოკიდებულებას სტალინის ფიგურის მიმართ.

კვლევის შედეგად მახსოვრობის მთავარ მააქტუალიზებელ საშუალებებს განეკუთვნებიან:

1. მეხსიერების ადგილები - სტალინის მონუმენტი, პორტრეტი, ფოტო, გამოსახულება, 21 დეკემბერი, 5 მარტი, 9 მაისი, მუზეუმი, სახლი, ქუჩა, კომერციული სივრცე
2. ოჯახი - ომის ვეტერანი წინაპარი
3. სკოლა, გაზეთი, ფილმი, ზეპირი ისტორიები
4. ქართული სუფრა - წარსულის გახსენების, პიროვნების არტიკულაციისა და მისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვის ფენომენი.

ამრიგად, წარსულის გადააზრება და საერთო მეხსიერების ჩამოყალიბება ნებისმიერი ერის თვითგამორკვევის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც თან „ახალი წარსულის“ საჭიროება სდევს. საერთო წარსულზე შეთანხმება და ისტორიული ფიგურების გადაფასება იდენტობის პოლიტიკის ნაწილი ხდება, რაც ნებისმიერი მთავრობის დღის წესრიგში უნდა იყოს, რათა არ მოხდეს ტოტალიტარი ლიდერის რომანტიზება და მისთვის სიმბოლური გარემოს შექმნა.

ბიბლიოგრაფია

ბაქრაძე, ლ. (2013). საქართველო და სტალინი: "ქართველი ხალხის საამაყო შვილი" ჯერ კიდევ ჩვენთანაა. ვაალი თ.დ., *სტალინის თავსატეხი: პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ანალიზი* (pp. 69-77). თბილისი: Heinrich Boell Foundation South Caucasus Regional Office; Carnegie Endowment for International Peace.

გუდკოვი, ლ. (2013). "ბელადის" მითოლოგემა: ტოტალიტარული სიმბოლოს სოციოლოგიისთვის. ვაალი თ. დ., *სტალინის თავსატეხი: პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ანალიზი* (pp. 43-69). თბილისი: Heinrich Boell Foundation South Caucasus Regional Office; Carnegie Endowment for International Peace.

დარჩიაშვილი, თ. (2022). *სოციალური გვერდზე გაკეთებული განცხადებები.* თამაზ დარჩიაშვილის სოციალური ქსელის გვერდი. https://drive.google.com/drive/folders/1j2fPo_BXDF1iobfasLzukWmIzvY5siC2?usp=sharing

ვებერი, მ. (1994). *პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა.* თბილისი: გონი.

კეკელია, ს., & რაისნერი, ო. (2022). „ოქროსფერი" ან „ვარდისფერი" – სტალინი როგორც კონფლიქტური მეხსიერების ადგილი. ს. ჯონსი, & მ. თორია, *მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კიკნაძე, ზ. (2007). ქართული სუფრა, ღვინის სმის წესი. vinoge.com/istoria/qarTuli-sufra-Rvinis-smis-wesi

კუპატაძე, ბ. (2016). სტალინმა საკუთარი შვილის სიცოცხლე სახელმწიფოს ინტერესებს შესწირა. *13 მითი სტალინის შესახებ. ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD).* http://13mythsaboutstalin.ge/

ლეონიძე, გ. (1939). *სტალინი. ბავშვობა და ყრმობა: ეპოპეა. წიგნი I.* თბილისი: სახელგამი.

ლიპმანი, მ. (2013). სტალინი არ მომკვდარა: მემკვიდრეობა, რომელიც რუსეთს უკან ექაჩება. ვაალი თ. დ., *სტალინის თავსატეხი: პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ანალიზი* (pp. 27-43). თბილისი: Heinrich Boell Foundation South Caucasus Regional Office; Carnegie Endowment for International Peace.

მაგშტადტი, თ. (2010). თავი V - ტოტალიტარული სახელმწიფოები. *გავიგოთ პოლიტიკა იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები* (p. 123). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: თბილისი.

მაისურაძე, გ. (2012). *ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები.* თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

მარქსი, კ. &. ენგელსი, ფ.(1954). *კომუნისტური პარტიის მანიფესტი.* თბილისი: სახელგამი.

ქარაია, თ. (2015). საბჭოთა წარსულის გააზრება საქართველოში „ვარდების რევოლუციის" შემდეგ. *ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*, 76.

ქევანიშვილი, ე. (2023). *ნდობა - ოჯახს და პატრიარქს, ვინ ამაყობს სტალინით, ვის უნდა ევროკავშირში? - მნიშვნელოვანი აქცენტი ახალი კვლევიდან.* თბილისი: რადიო თავისუფლება. https://shorturl.at/bIL18

ჩიქოვანი, ნ. (2022). 1. მეხსიერება და ისტორია 2. რა არის ისტორია?. სალექციო კურსი: *ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია მეხსიერების პოლიტიკა.* კულტურის კვლევების მიმართულება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩიქოვანი, ნ., კაკიტელაშვილი, ქ., & ჩხაიძე, ი. (2022). *საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე.* თბილისი: სამშობლო.

Assman, J. (2010). Communicative and Cultural Memory. In A. &. Erll, *Cultural Memory Studies: An International and Interdisciplinary Handbook* (pp. 109-119). Berlin: De Gruyter.

Assmann, A. (2008). Canon and Archive. In A. &. Erll, *Cultural Memory Studies: An International and Interdisciplinary Handbook* (pp. 97-109). Berlin: De Gruyter.

Assmann, A. (2015). Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory. In T. &.-A. Stordalen, *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation* (p. 41). Oslo: Novus Press.

Assmann, J. (Spring-Summer, 1995). Collective Memory and Cultural Identity. *New German Critique, # 65, Cultural History/Cultural Studies* , pp.125-132.

Avalishvili, L. (2016). The March 1956 events in Georgia. In T. &. Blauvelt, *Georgia after Stalin: Nationalism and Soviet power* (pp. 32-53). Abingdon: Routledge Taylor & Francis Group.

Borneman, J. (2004). *Death of the Father: An Anthropology of the End in Political Authority.* Oxford: Berghahn Books.

Bringa, T. (2004). The Peaceful Death of Tito and the Violent End of Yugoslavia. In J. Borneman, *Death of the Father: An Anthropology of the End in Political Authority.* (pp. 148-201). Oxford: Berghahn Books.

Cicic, A. (2020). *Yugoslavia Revisited: Contested Histories through Public Memories of President Tito.* Upsala : Department of Cultural Anthropology and Ethnology. Upsala University.

Confino, A. (2010). Memory and the History of Mentalities. In A. N. Astrid Erll, *A Companion to Cultural Memory Studies* (pp. 80-81). Berlin: De Gruyter.

Droa.ge. (2019). ბოლო 3 თვეში სტალინის მუზეუმს 52 389 ვიზიტორი ესტუმრა. *Droa. ge*. Retrieved from https://droa.ge/?p=50039

Ennker, B. (2004). The Stalin Cult, Bolshevik Rule and Kremlin Interaction in the 1930's. In A. Balázs, J. Behrends, & P. &. Jones, *The Leader Cult in Communist Dictatorships: Stalin and the Eastern Bloc* (pp. 83-101). London: Palgrave Macmillan.

Freedom, H. (2022). *FREEDOM IN THE WORLD.* Freedom House.

Gittleman L. J. (2016). *Phylogeny*. Britannica. https://www.britannica.com/science/phylogeny

Gotfredsen, K. B. (2013). *Evasive Politics. Paradoxes of History, Nation and Everyday Communication in the Republic of Georgia.* Copenhagen: PhD Dissertation. Faculty of Social Sciences, University of Copenhagen. Department of Anthropology.

Gugushvili, A. & Kabachnik, P. (2015). Stalin Is Dead, Long Live Stalin? Testing Socialization, Structural, Ideological, Nationalist, and Gender Hypotheses. *Post-Soviet Affairs*, pp. 1-36.

Gugushvili, A. & Kabachnik, P. (2019). Stalin on Their Minds: A Comparative Analysis of Public Perceptions of the Soviet Dictator in Russia and Georgia. *Journal of Sociology, 49*, pp. 317-341.

Gugushvili, A., Kabachnik, P., & Kirvalidze, A. (2016). *Stalin Today: Contending with the Soviet Past in Georgia.* Tbilisi: Ilia State University.

Gugushvili, A., Kabachnik, P., & Kirvalidze, A. (2017). "Collective Memory and Reputational Politics of National Heroes and Villains.". *Nationalities Papers 45 (3)*, pp. 464-84.

Halbwachs, M. (1992). *On Collective Memory.* Chicago : University of Chicago Press.

Khlevniuk, O. (2017). *Stalin New Biography of a Dictator.* Connecticut: Yale University Press.

Kideckel, D. (2004). The Undead: Nicolae Ceaus¸escu and Paternalist Politics in Romanian Society and Culture. In J. Borneman, *Death of the Father: An Anthropology of the End in Political Authority.* (pp. 123-148). Oxford: Berghahn Books.

Kikodze, A. (2012). *Playing with Statues: Stalin Here and Now.* Tbilisi: Heinrich Boell Foundation.

Klasić, H. (2019). *White on Black-Lessons from the Past for the Future.* Zagreb: Ljevak.

Kldiashvili, G. (2016). Nationalism after the March 1956 events and the origins of the national-independence movement in Georgia. In Blauvelt, T., & Smith, J. *Georgia after Stalin: Nationalism and Soviet power* (pp. 77-92). Abingdon: Routledge Taylor & Francis Group.

Kølvraa, C. (2016). European Fantasies: On the EU's Political Myths and the Affective Potential of Utopian Imaginaries for European Identity. *Journal of Common Market Studies 54 (1)*, pp.169–184.

Lebow, R., Kansteiner, W., & Fogu, C. (2006). *The Politics of Memory in Postwar Europe.* London: Duke University Press.

Lipman, M., Gudkov, L., & Bakradze, L. (2013). *The Stalin Puzzle. Deciphering Post-Soviet Public Opinion.* Washington DC: Carnegie Endowment for International Peace.

Lu, X. &. (2014). *Personality cults in modern politics: cases from Russia and China.* Berlin: Freie Universität Berlin, Center for Global Politics.

Malia, M. (1995). *The Soviet Tragedy: A History of Socialism in Russia, 1917-1991.* New York: New York Free Press.

Müller, J.-W. (2002). Introduction: the power of memory, the memory of power and the power over memory. In *Memory and Power in Post-War Europe: Studies in the Presence of the Past* (pp. 1-35). Cambridge : Cambridge University Press.

Nora, P. (1989, Spring). Between Memory and History: Les Lieux de Mémoire. *Representations, No. 26, Special Issue: Memory and Counter-Memory. University of California Press*, p. 8.

Nora, P. (1992). Introduction to Realms of Memory. In E.-l. e. Cold hammer., *Volume III. The Construction of the French Past. Realms of Memory* (pp. 9-12). New York: Columbia University Press.

Plamper, J. (2012). *The Stalin Cult: A Study in the Alchemy of Power.* New Haven: Yale University Press.

Rees, E. A. (2004). The Leader Cult in Communist Dictatorships Stalin and the Eastern Bloc. In R. E. A., *Leader Cults: Varieties, Preconditions and Functions.* Hampshire: Palgrave Macmillan.

Rieber, A. J. (2001). Stalin, Man of the Borderlands. *American Historical Review, 106 (5,1)*, pp. 1651–1691.

Schoeberlein, J. (2004). Doubtful Dead Fathers and Musical Corpses: What to Do with the Dead Stalin, Lenin, and Tsar Nicholas? In J. Borneman, *Death of the Father: An Anthropology of the End in Political Authority* (pp. 201-220). Oxford: Berghahn Books.

Strong, C. &. (2011). Stalin the Charismatic Leader?: Explaining the 'Cult of Personality' as a Legitimation Technique. *Politics, Religion & Ideology 12 (4)*, pp. 391–411.

Velikonja, M. (2008). *Titostalgia – A Study of Nostalgia for Josip Broz.* Ljubljana: Media Watch Peace Institute.

Verdery, K. (2000). *The Political Lives of Dead Bodies: Reburial and Postsocialist Change.* Columbia: Columbia University Press. https://shorturl.at/ilpDZ

Wertch, J. (2004). *Voices of Collective Remembering.* Washington University in St. Louis: Cambridge University Press.

Winter, J. (2010). Sites of Memory and the Shadow of War. In A. N. Astrid Erll, *A Companion to Cultural Memory Studies* (pp. 70-71). Berlin: De Gruyter.

Нора, П. (2005). Всемирное торжество памяти. In И. Калинин, *Память о войне 60 лет спустя. Россия, Германия, Европа.* (p. 391). Москва: Новое Литературное Обозрение.

დანართი

დანართი N1 - სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი სტალინისტებთან

1. გთხოვთ მიამბოთ, როდიდან გახსოვთ სტალინი (/პირველად სტალინზე რა გახსენდებათ?)
2. როგორ გახსოვთ იოსებ ჯუღაშვილი, მისი ფიგურა?
3. რა აყალიბებს თქვენი მსგავსი ტიპის დამოკიდებულებას მის მიმართ?; – (რამ მოახდინა ზეგავლენა ამაზე); - ჰქონდა გავლენა თუ არა სკოლას, მედიას, პოპკულტურას (ფილმებს)
4. როგორი დამოკიდებულება იყო თქვენს ახალგაზრდობაში სტალინის მიმართ?
5. რა იყო სტალინის მთავარი გამარჯვება, დამსახურება თქვენთვის, რამაც ის ბელადად აქცია?
6. რა ასოციაცია გიჩნდებათ სტალინზე, როგორ დაახასიათებდით ერთი ან რამდენიმე სიტყვით, ვინ იყო ის თქვენთვის და საბჭოთა კავშირისთვის?
7. იყავით თუ არა (21 დეკემბერს) სტალინის იუბილეზე? გარდაცვალებიდან 70 წლისთავზე?
8. როგორ შეაფასებდით ხრუშოვის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, 1956 წელს, კომპარტიის xx ყრილობაზე - „პიროვნების კულტის შესახებ“, როცა იწყება დესტალინიზაცია.
9. თქვენი, როგორც მოქალაქის აზრით სჭირდება თუ არა თანამედროვე სამყაროს სტალინის მსგავსი ლიდერი? რატომ?
10. იცხოვრებდით და იმუშავებდით თუ არა ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სტალინის მსგავსი პიროვნება მართავს? რატომ?; - შეცვლიდით თუ არა რამეს მის პოლიტიკაში
11. ამბობენ რომ სტალინის პოლიტიკას ბევრი ადამიანი შეეწირა (რეპრესიები, დახვრეტა, გულაგში გაშვება...) თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, რა ახსნას მოუძებნით?

12. თქვენი ხედვით, როგორ აღიქვამენ დღეს სტალინს, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება მის მიმართ?
13. მის მონუმენტებზე რას იტყვით, როგორ შეაფასებთ სააკაშვილის მთავრობის პოლიტიკას, ძეგლების აღებასთან დაკავშირებით? - რამდენად საჭიროა მისი მონუმენტების არსებობა დღეს?
14. უნდა ვიამაყოთ თუ არა სტალინის ქართველობით? (მისი ქართველობა ცვლის თუ არა რამეს თქვენთვის?)
15. რას დაამატებდით სხვას, რამე ხომ არ გამოგვრჩა?

დანართი N2 - ნახევრად-სტრუქტურული ინტერვიუს გზამკვლევი სამი თაობის ადამიანებთან

1. თქვენთვის ვინ არის იოსებ სტალინი?
2. რას წარმოადგენს მისი ფიგურა?
3. რა შესძინა იოსებ ბესარიონის ძის არსებობამ მსოფლიოს, საქართველოს
4. რა სახის ასოციაცია ჩნდება თქვენში სტალინზე საუბრისას?
5. რა აყალიბებს თქვენს დამოკიდებულებას მის მიმართ? – (რამ მოახდინა ზეგავლენა ამაზე)
6. თქვენი აზრით ამ განწყობებს რა აყალიბებს, რა ცვლის?
7. თქვენი, როგორც მოქალაქის აზრით სჭირდება თუ არა თანამედროვე სამყაროს სტალინის მსგავსი ლიდერი? რატომ?